# საერთო გაზეთი

№39 (589) • 2 დეკემბერი, 2020წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი


ელიზბარ ჯაველიძე:

## საბრალდებო დასკვნა მიხოსათვის



### მხდალი ყვარყვარე მასხარა კალიგულა

რა გვჭირს ქართველნო?!
სანამ ეს ტირანი მიხო, კალიგულად თავი რომ მოაქვს და პირწავარდნილი ფაშისტები ჩვენ ქვეყანას და სახელმწიფოს არ გაანადგურებენ, ასე ვებოდიშოთ და ვეხვეწოთ, მობრძანდით, ბატონო, პარლამენტში, საერთო ენა გამოვნახოთ და ერთად ვმართოთ ეს ჩვენი ბედკრული ქვეყანა-ო





კობა არაბული:

## ეს ველური, გაუნათლებელი პარტიების ხროვა პარლამენტს გარეთ უნდა დარჩეს და დაიშალოს!

ვახტანგ ხარჩილავა:

## სამშობლო – დავიწყებული დიადი სიტყვა

როცა სამშობლოს პატრონობ, არავინ არ არის მკვდარი, თუნდაც ისინი, ვინც ათასი თუ ორიათასი წლის წინათ გარდაიცვალნენ. ისინი კვდებიან მაშინ, როცა მათი შთამომავლობა სამშობლოსათვის ომს შეწყვეტს.



## ოპოზიციამ საქართველოში СОВЕТСКИИ СОЮЗ-ი აღადგინა



## ბაიდენი მოდის, ტრამპი მიდის, მარადონა კი ზეცაში გააგრძელებს ფეხბურთის თამაშს



## აკადემიკოს თინათინ თოფურიას უნიკალური რეცეპტები კორონა-ვირუსისგან თავდასაცავად

## ჩმორი ჩიტი პრუსტის სავარძელში და მიშას ხუშტურებს შეწირული ქვეყანა

# სამშობლო – დავიწყებული დიადი სიტყვა



**ვახტანგ ხარჩილავა:**

რა შეიძლება იყოს ის ერთი, ერთადერთი, ყველასთვის საერთო, ყველას გამაერთიანებელი თემა, რომლის გარშემოც შეიძლებოდა მთელი ერი დარაზმულიყო?

დემოკრატიული ღირებულებები? არა, რადგან დემოკრატიაზე ფუჭი, ამაო, გაუთავებელი საუბრები ისე ამოუვიდა ყელში ქართველ ხალხს, რომ ამ სიტყვაზე უკვე არ რეაგირებს.

იქნებ საარჩევნო გარემოს შეცვლაა ის უმთავრესი საკითხი, რომლის გამოც მთელი საქართველო ფეხზე დადგება და სანამ ამ გარემოს არ შეცვლის, სახლში არ წავა?

არა, არც არჩევნების თემაა ის თემა, რომელიც თანაბრად აღელვებს ყველას და გულს ისე აუჩქროლებს, რომ ერთ დაძახებაზე გარეთ გამოვა.

სხვა უამრავი თემის, უამრავი საკითხის, უამრავი პრობლემის ჩამოთვლა შეგვიძლია, რომლებიც, ცალკე აღებული, უაღრესად მნიშვნელოვანია, მაგრამ საერთო სახალხო საერთო ეროვნული გაერთიანების მიზეზად და მოტივად მაინც ვერ გამოდგება.

მაშინ რა არის ის უმთავრესი და უპირველესი, ის ყველას გამაერთიანებელი, ყველასთვის საერთო რამ, რომელიც წესით და რიგით, თანაბრად უნდა აწუხებდეს და თანაბრად უნდა ტკიოდეს ყველას, მიუხედავად მისი სოციალური მდგომარეობისა და პოლიტიკური შეხედულებებისა?

რა არის და სამშობლო.

სამშობლო – გლობალიზმისა და კოსმოპოლიტიზმის სატანისტურ ეპოქაში დავიწყებული დიადი სიტყვა.

– რომელი დგას უფრო მაღლა – სამშობლო თუ ჭეშმარიტება? – იკითხა ფილოსოფოსმა და იქვე უპასუხა – ჭეშმარიტებაო.

მცდარი მგონია ეს მოსაზრება, რამეთუ სამშობლოა თავად ჭეშმარიტება და ამდენად, სამშობლოზე მაღლა ჭეშმარიტება დგასო, როცა ამბობ, ეს იგივეა, ჭეშმარიტებაზე მაღლა ჭეშმარიტება დგასო, რომ თქვა.

„ როგორც უფალი, სამშობლო, ერთია ქვეყანაზედა...“

უსამშობლო ადამიანი ადამიანის მაგვარი ბიოლოგიური არსებაა, ვიღაცის მიერ შეკოწიწებული რობოტია, რომელსაც ღმერთის დამღა არ აკრავს.

მთელი ქართული მწერლობა დაწყებული დასაბამიდან დღემდე ერთ საერთო მიზანს ემსახურება – აღზარდოს ქართველ ადამიანში სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი, განუსაზღვროს, განუმარტოს და შეასწავლოს მთავარი მიზანი და დანიშნულება ადამიანის არსებობისა – სამშობლოს მსახურება.

ავად თუ კარგად, თითქოს, სახელმწიფოს კი ვაშენებთ, თავისი სტრუქტურებით, ჯარით, პოლიციით, სხვადასხვა სტრუქტურებით, მაგრამ ამ სახელმწიფოში სულ უფრო და უფრო ნაკლებ ჩანს მთავარი, რისთვისაც სახელმწიფო უნდა შენდებოდეს – სამშობლო.

დიახ, შეიძლება ააშენო სახელმწიფო, მაგრამ თუ გონივრულად არ მოიქეცი, ამ სახელმწიფოში ადვილი შესაძლებელია სამშობლო დაგეკარგოს და მის ნაცვლად ახალი დუბაი შეგრჩეს ხელთ ან ახალი სინგაპური.

დიდი სახელმწიფოები ხშირ შემთხვევებში შეთანხმებულად მოქმედებენ ნებისმიერი სახელმწიფოს მიმართ, რომელიც რაღაც ფორმით სათანადოდ ვერ ჯდება მათ საერთო ინტერესებში.

საქართველო თავისი აკვიატებული „ენა, მამული სარწმუნოებით“ ჯერჯერობით ვერ ჯდება გლობალიზმის იდეოლოგიურ ჩარჩოში – სამივე ეს ღირებულება, – ენა, მამული, სარწმუნოება, მიუღებელი, უცხო და ხელისშემშლელია გლობალისტური პროცესების განვითარებისათვის.

ამიტომაც სასაცილოა, როცა ქართველ პოლიტიკოსთა ერთი ჯგუფი მოსკოვში დარბის, მეორე ვაშინგტონში, მესამე ბრიუსელში – არიქა, გვიშველეთო.

შველის ნაცვლად კი საქართველო ამ სამივე „წერტილიდან“ ერთდროულად „იბომბება“, იბომბება სხვადასხვა ტიპის ბომბებით- ერთიდან თუჯის ნამსხვრევები ცვივა, მეორიდან – ფოჩიანი კანფეტები, მესამიდან ნახმარი პრეზერვატივები.

რით აიხსნება ის ამბავი, რომ ქართველ პოლიტიკოსთა უმრავლესობა ხალხს დემოკრატიის გადასარჩენად მოუწოდებს, მაგრამ არ მოუწოდებს სამშობლოს გადასაჩენად?

დემოკრატია გვინდა, მაგრამ სამშობლო არ გვინდა?

არადა, ეს ყველაფერი სამშობლოს გარეშე სახელმწიფო კი არა სუპერმარკეტია, დიდი, უზარმაზარი სუპერმარკეტი.

ჩვენი პოლიტიკოსები სუპერმარკეტის დირექტორის თანამდებობისთვის და ადმინისტრაციული სტრუქტურების კონტროლისთვის იბრძვიან და ქართველ ხალხს სთხოვენ მხარი დაუჭირონ ამ „წმინდაწმინდა“ ბრძოლაში.

ეს ეგრეთწოდებული არჩევნებიც სხვა არაფერია, თუ არა ომი სუპერმარკეტის დირექტორის, მისი მოადგილეების, სექციის გამგეების პოსტების დასაკავებლად.

– წინ, სამშობლოსათვის! – დიდი ხანია არავის არ უთქვამს ეს ფრაზა საქართველოში.

– არცერთი ნაბიჯი უკან. ჩვენს უკან სამშობლოა! – არც ეს უთქვამს ვინმეს და შეიძლება იმიტომაც, რომ არ არის ჩვენს უკან სამშობლო – ჩვენს უკან სუპერმარკეტია.

ამიტომ ხომ არ მოვრბოდით თავქუდმოგლეჯილები 2008 წელს კოდორიდან თუ ცხინვალიდნ?

კიდევ კარგი, მდევარმა დაგვინდო და გაჩერდა, თორემ მთელი საქართველო ვირბენდით, ვირბენდით სამშობლოს მთა-ბარს გადავირბენდით და ან თურქეთში ამოვყოფდით თავს, ან სომხეთში, ან აზერბაიჯანში.

ასე ხდება ხოლმე, სახელმწიფოში სამშობლოს რომ დაკარგავ.

როცა დავრწმუნდით, რომ არ მოგვდევდნენ, როცა გარანტიები მივიღეთ, რომ მტერი თბილისში არ შემოვიდოდა, დამარცხებულებმა გრანდიოზული მიტინგი გავმართეთ-გავიმარჯვეთო.



> ## ჰე, მამულო!
>
> ჰე, მამულო! გრძნობა შენი მოვლისა,
> მარად ყველა ჩვენთაგანის ვალია.
> სანამ გმირმა შენთვის სული დალია,
> სთქვა: „სამშობლო – უპირველეს ყოვლისა!“
>
> არმოშიშარს ქარისა და თოვლისა,
> ყოველ ჩვენგანს ურყევ მიზნად ექნება
> მხოლოდ შენთვის თავდადების შეგნება:
> მამულს გული – უპირველეს ყოვლისა!
>
> მზე ჩაქრება ყველა სისხლისმწოვლისა,
> მზე ამოვა ყველა დაჩაგრულისა,
> წამლად იქნას ყოველ დაჭრილ გულისა:
> გამარჯვება – უპირველეს ყოვლისა!
>
> დე, ბრწყინავდეს დროშად თვითეულისა
> საქართველოს მკერდი ორდენოსანი,
> მისი მიწა, მისი მზე სხივოსანი,
> ის გვიყვარდეს უპირველეს ყოვლისა!
>
> **გალაკტიონ ტაბიძე**

დამარცხებულები გამარჯვებას ზეიმობდნენ.

მსგავსი ცინიზმი არც მინახავს და არც მსმენია...

სიმღერები, ცეკვა-თამაში, ომახიანი გამოსვლები დიდხანს არ შეწყვეტილა, მაგრამ არავის მოუკითხავს სამშობლოს ის ნაწილი, მომხვდური რომ დაეპატრონა.

რაც უკვე დაკარგული გაქვს, რაც არ გაქვს, ის რატომ უნდა მოიკითხო?

გარბიან ქართველები საქართველოდან, მილიონნახევარია უკვე გაქცეული და ერთ ამდენსაც გაქცევაზე უჭირავს თვალი, ოღონდ გაქცევის საშუალება არ აქვთ და რა ქნან?

გარბიან ქართველები ქართული სახელმწიფოდან და სხვა მრავალ მიზეზთა შორის მთავარი მიზეზი ამისა ის გახლავთ, რომ ამ ქართულ სახელმწიფოში ისინი თავიანთ სამშობლოს ვერ ხედავენ. სამშობლოს ვერ გრძნობენ.

ასეთ დროს კი შენი ქვეყნიდან სხვა ქვეყანაში გადასვლა დაახლოებით იგივეა, რაც სუპერმარკეტიდან მეორე სუპერმარკეტში გადარბენა.

ვინც აქ დარჩა ვინც გაქცევა არ ისურვა, მათი დიდი ნაწილიც ისე ცხოვრობს თითქოს ემიგრაციაში იყოს, ოღონდ შიდა ემიგრაციაში. ასე ხდება მაშინ, როცა სამშობლოში კი ხარ, მაგრამ სამშობლოში სამშობლოს ვერ ხედავ.

სამშობლო არ არის მხოლოდ მიწა-წყალი, მთა და ბარი, მდინარე და ტყე, ველი და კორდი, მშობლიური სოფელი, საყვარელი ქუჩა და უბანი.

სამშობლო არის ის კულტურა, ის სულიერი ფასეულობები და ღირებულებები, რაც შენმა წინაპრებმა შექმნეს, როცა შენ არ იყავი, არ იყავი მაგრამ აუცილებლად იგულისხმებოდი, რადგან რაც კეთდებოდა ყველაფერი კეთდებოდა შენთვის ანუ მომავლისთვის.

როცა სამშობლო გაქვს და როცა სამშობლოს პატრონობ, არავინ არ არის მკვდარი, თუნდაც ისინი, ვინც ათასი თუ ორიათასი წლის წინათ გარდაიცვალნენ.

ისინი კვდებიან მაშინ, როცა მათი შთამომავლობა სამშობლოსათვის ომს შეწყვეტს.

ამ ოპოზიციური პარტიების ყიყინს რომ ვუსმენ, ვრწმუნდები:

მათ არ უყვართ სამშობლო ან უყვართ იმდენზე, რამდენიც მათი პოლიტიკური ამბიციების დასაკმაყოფილებლად კმარა.

მათ არ უყვართ ქართველი ხალხი, უფრო ზუსტად, უყვართ ქართველი ხალხის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მათი მხარდამჭერია.

სამშობლოსადმი საერთო სიყვარული, ერთ მუხტად შეკრული სიყვარული არ არსებობს – ის საარჩევნო ხმებად ნაწილდება და ქუცმაცდება.

ცხოველის „სამშობლო“ ბუნაგია.

როცა ადამიანი სამშობლოს ბუნაგთან აიგივებს, სადაც შეიძლება კომფორტულად და მაძღრად იცხოვრო, ასეთი ადამიანიც ცხოველია.

საქონელიაო, თქვა ერთმა პოლიტიკოსმა, რომელიც ადრე ქართველობდა, მაგრამ ბოლო ხანებში ქართველობაზე უარი თქვა და მიშისტი გახდა.

კი, ბატონო, საქონელი ერქვას“

**ფრაგმენტები წერილიდან „სგ“. #12 (517) 2019 წ.**

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# ეს ველური, გაუნათლებელი და სამშობლოს სიყვარულის გარეთ მყოფი პარტიების ხროვა პარლამენტს გარეთ უნდა დარჩეს და დაიშალოს!



**კობა არაბული:**

„ბოზო, როსკიპო დიაცო, საქმრო რად მოაკვლევინე!?"- შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში" სწერია ეს სტრიქონი: — ქალმა მართლაც მოაკვლევინა საქმრო და სახელმწიფოს ამით ხიფათი შეექმნა. ასევე, „დიაცის ბოზობამ" დაანგრია ტროა, გამოიწვია ძველი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ომი!

ფოლკლორი გვეუბნება, რომ: „დალივნა თათხელიონნი დიაცთა ენობამაო"...და, მართლაც, "დიაცთა ენობას" ამოუგდია ხევსურთა სოფელი -თათხელი (ახლა მხოლოდ ამ სოფლის ნანგრევებიღაა შემორჩენილი არხოტის თემში). სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მეძავმა შეუკვეთა









იოანე ნათლისმცემლის თავი.

იგივე ვითარებაა დღესაც, ჩვენი დროის „ბოზი-როსკიპი" დიაცებიც ასეთივე, და უფრო უარეს სახიფათო, საბედისწერო სიტუაციებს უქმნიან ქვეყანას: ყოველგვარ მორალს და ეროვნულ ცნობიერებას აცდენილი „ტვ-1 ის" ჟურნალისტური ჰარამხანის „მოენე დიაცები" აქეზებენ და პირდაპირ ერთმანეთს „აჭმეინებენ" საზოგადოებას..აძლევენ შეკვეთებს ვინმეს დამხობასა და განდევნაზე!.. ფაქტობრივად, სახელმწიფო და ერი „მათი სიცრუის პანდემიის" მძევლად იქცა: ისედაც უმძიმესი ეპიდემიის და ფსიქოლოგიური სტრესის პირობებში, ამ საოცრად მტრულმა, ვულგალურმა ტელევიზიებმა (და მათმა „პომადიანმა ბულდოგებმა") ქვეყანას ცხოვრება პირდაპირ კოშმარად (ჯოჯოხეთად) უქციეს... სამწუხაროდ, ვერც ხელისუფლებამ და ვერც ჩვენ — საზოგადოებამ — ვერ შევძელით ამ კოშმარის არიდება! ამ „მოყაყანე ჭაობის" გაჩუმება, როგორც ვაჟა იტყოდა: „წითლებს იქნევენ ენებსა, გრძელებსა, როგორც შოთებსა!"

„პომადიან ბულდოგად" წოდებული, „ცოფიანი" ინგა გრიგოლია, „ტვ-1-ის" „წმიდა ძროხებთან" ერთად, (გვარამიასთან სინქრონში) პირდაპირ ეთერიდან მართავენ რევანშისტ-ნაცისტთა პარადებს თბილისის ქუჩებში... მთელი ღამე, თენებამდე მიკროფონებით მისდევენ და მიუძღვიან ნარკო- ლიბერალების ბრბოს: ყურში ჩაჰბღავიან, რომ არ ჩაეძინოთ, არ მოასვენონ ქვეყანა და ხელისუფლება, რაც შეიძლება შეარყიონ ქვეყნის იმიჯი, დაანგრიონ კულტურა და ეკონომიკა, ტრადიციები... „კარგად გაავრცელონ" ეპიდემია, რომ ექიმებს და ხელისუფლებას მეტი პრობლემა შეექმნას: სამწუხაროდ, ასეთი უზნეო, დაუჯერებლად მტრული ოპოზიცია ჰყავს ჩვენ ქვეყანას...

საზოგადოებას კარგად უნდა ახსოვდეს ამ ნახელისუფლარი ვანდალების ნამოქმედარი: არც ტერიტორიების დაკარგვა, არც ქუჩებში და მორგებში ადამიანებისთვის „სულის ამოხდა", არც გვამების შემოწყობა სახურავებზე, არც „კუბდარა"-ბოკერიების მიერ სვანური კოშკების და მონუმენტების აფეთქება, არც კამაზებით ტაძრების ნგრევა და პატიმრების ამოხოცვა...არც 7 ნოემბრის და 26 მაისის სისხლიანი ტერორი არ უნდა გვავიწყდებოდეს!!!.. მით უფრო, **დაუვიწყარია რიყედან „კურდღელივით გაქცეული" და ბაზალეთში ტახტის ქვეშ გადამალული", ლეიბორისტე-ბის მამფალი ნათელაშვილი"** (სააკაშვილის სიტყვებია), ანდაც, რუსთაველზე ნაციონალების მიერ „დაუთოვებული" ბურჯანაძე, — რომელიც ახლა ისევ მათ (თავის მახრჩობელებს) რომ მიუცუნცულდნენ, „სირცხვილის კორიდორებს" საზოგადოებას კი არა საკუთარ თავს უნდა უწყობდნენ: ეს მართლა სამარცხვინო, ყველა ომიდან გამოქცეული ჭილყვავები, მხოლოდ შური და ზიზღი „სხვისა სიკეთესა და ღირსებასა ზედან" რომ აერთიანებთ.

არც დარბეული „იმედი" და ზონდერებისგან მიწაზე დაყრილი კოლეგა ჟურნალისტები ახსოვს „პომადიან ბულდოგს" და მისი ჰარამხანის „თავისუფალი ყოფაქცევის ძროხებს", რომ კვლავ სააკაშვილის ნარკო-ლიბერასტულ-რევანშისტული აჯანყების რუპორებად იქცნენ!? — განა არ იციან თუ მობრუნდნენ რა „წირვას გამოუყვანენ" ქვეყანას?!..

საზოგადოება შოკშია ეპიდემიით და ამ ველური ფაშისტი-რევანშისტების დაუსჯელობის განცდით! გაუგონარი დანაშაულია ამ ტიპის დემოკრატობანა და დემონსტრაციები, ასევე გაუგებრობაა ასეთი თავაშვებული, უმართავი ანარქიის დაშვება სახელმწიფოს მიერ, ასეთ ურთულეს ვითარებაში.

**ყველას უნდა გვესმოდეს: რაც ეხლა ხდება ჩვენს ქვეყანაში, ქალაქის ქუჩებში, ეს არ არის მხოლოდ ხელისუფლებისთვის ბრძოლა, ეს არის ნარკო-ლიბერალურ-სოროსულ-ფაშისტური, ბნელი „კორონალური კლანების" ჰიბრიდული ომი ქართველი ერის წინააღმდეგ:** მისი ცნობიერების, მისი კულტურის, მისი სახელმწიფოებრიობის დასანგრევად!... ეს ველური, გაუნათლებელი, და სამშობლოს სიყვარულის გარეთ მყოფი პარტიების ხროვა პარლამენტს გარეთ უნა დარჩეს და დაიშალოს!

მაგათ არ უნდათ არც სამშობლო, არც პატრიარქი, არც კაცი პატრიოტი და ქველმოქმედი, რომელსაც რაიმეს კეთება შეუძლია: ჩემი უცვლელი რწმენაა: ივანიშვილმა ერთხელ უკვე გადაარჩინა ერი, ის განგებამ ამისთვის მოუვლინა ქვეყანას... ახლა ერი გადარჩენილია მის მიერ და მას მოვლა და სიმშვიდე სჭირდება, ესენი კი ანგრევენ... საზოგადოებამ ეს უნდა გააცნობიეროს და ამ უსაქმური (შურის მაძიებელი) ბრბოსგან დაიცვას იგი!

**„წადი, წადიო" რომ დასჩხავიან... ივანიშვილი რომ წავიდეს, ვინ დარჩება აქ? მელია-ბოკერიები? ხოშტარია-სამადაშვილები? ბურჯანაძე-მაჭუტაძეები? ხაზარაძე-ოქრიაშვილები? რურუა-გუგავა-შალიკოები? „რიბენთროპი" ბარამიძე და დანა- ჩანგლიანი „სანჩო პანსა ტილიანი ბაქრაძეები", „ბირჩები" და სხვა მისთანანი??** ანდაც, სააკაშვილის ჭაობში ჩამხტარი, სამარცხვინო, გუბაზის ტიპის გოიმი გომბეშოები???! — „ჰაი, დედასა მტრისასა, პატრონსა შავის ცხვრისასა, ცხვრის ტყავიანის მგლისასა!.."

თუ კიდევ ესენი უნდა მოვიდნენ ხელისუფლებაში, მართლა რა ეშველება ამ ქვეყანას? ერთხელ ხომ „გადახნეს", გააუპატიურეს და „შეიწყალეს??"... ახლა ვინმეს დაინდობენ და „შეიწყალებენ" საკუთარ მიცვალებულთა გვამებზე მროკავი კენტავრები!??... ესენი ახლა ქუჩებში რომ დაშლიგინებენ და პირდაპირ პანდემიას აბერტყენ თავზე საკუთარ ხალხს: მშობლებს, შვილებს, მოხუცებს... უშველიან ქვეყანას?! მათ არ აინტერესებთ ხმების დათვლა და რაიმეს დათვლა („ტრუპების" გარდა!), რადგანაც ამ „ტრუპებმა" და „რიბენთროპებმა" მიიღეს იმაზე გაცილებით მეტი, რაც ეკუთვნოდათ, ეს კარგად იციან...მაგრამ შურისძიების და რევანშის ვნება არ აცხრობთ ...

...ხოლო ინგა გრიგოლიას „ჰარამხანის" ტიპის მოენეთა მაზოხისტურ-მაზომბირებელი „სიცრუის პანდემია" არა ნაკლებ სახიფათოა ერისთვის. ამომრჩეველს მოვუწოდებთ: უარი უთხარით ამ ფაშისტი-მიზანთროპების სექტას. ისინი ქუჩაში უნდა ჩარჩნენ! გაემიჯნეთ ნულპროცენტიან „ეშმაკის ჭლიკებს"... ისინი უნდა გავიდნენ ქართული პოლიტიკური სივრციდან ამ ღობემძვრალების ადგილი პარლამენტში ნამდვილად არ არის.

ძალიან კარგია, რომ უფალს ისინი პარლამენტისკენ არ მიჰყავს!!!

მოვუაროთ სამშობლოს!

მოვუფრთხილდეთ სამშობლოს!

საზოგადოება „ოცნებისგან" და ხელისუფლებისგან კატეგორიულად მოითხოვს: დაიცვას „მისი წილი" ხმები, რომელიც ქართველმა ხალხმა მათ, — ბიძინა ივანიშვილს და „ოცნების" ხელისუფლებას მისცა, ნუ დაგვასვით თავზე ეს ვანდალები, — „კოჰაბიტირებული" ჯალათები! ხელისუფლებამ დაიცვას ერი კორონას პანდემიისგან მკაცრი საკარანტინე და საკომენდანტო რეჟიმებით, თუნდაც ისე, ხევსურებმა რომ შეძლეს ანატორში „ჟამთა ჩამოდგომის" დროს!.. უმკაცრესად დაისაჯოს, ყველა ვინც ხელს უწყობს მომაკვდინებელი პანდემიის გავრცელებას, ერის სიცოცხლეს პოლიტიკურ ამბიციებს წირავს!







## სამშობლო ხევსურისა

სადაც ვშობილვარ, გავზდილვარ და მისროლია ისარი,
სად მამა—პაპა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი,
სადაც სიყრმიყვე ვჩვეულვარ, — ჩემი სამშობლო ის არი.
არ გავცვლი სალს კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!...
მე მირჩევნია შავი კლდე, თოვლიან-ყინულიანი,
ორბი რომ ბუდობს, ჩანჩქარით გადმოჰქუხს ბროლიწყლიანი,
ჯიხვი და არჩვი მეყოფა, ხორცი აქ მარილიანი....
არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემ სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!...
ბარად რომ ვიყო ლაღადა, სული მთისკენვე იხარის,
სალი კლდე ანდამატივით გულს სულ იქთკენ იხარის,
იქ მიჯობ შავი სიკვდილი, ბარში სიცოცხლეც იმწარის!...
არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცლი მე ჩემ სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოტხეზედა!...
ბარად რომ მომცე დიდება, ქონება უთვალავია,
სასახლე ოქროს ტახტითა, ჯარი და ზღვაზე ნავია,
არ ვინდომო ეგენი, არ მოკვდეს ჩემი თავია...
არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა
არ გავცვლი მე ჩემ სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!...
სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა...
არ გავცლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემ სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!...

**რაფიელ ერისთავი**

# ოპოზიციამ საქართველოში СОВЕТСКИЙ СОЮЗ-ი აღადგინა

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობა



ცკ I მდივანი



ცკ II მდივანი



ეკონომიკის მინისტრი



ფინანსთა მინისტრი

ამხანაგებო, საქართველოში ახალი ერა დაიწყო!

იმ პარტიებიდან, სადაც "მოღვაწეობენ" დავით უსუფაშვილი, შალვა ნათელაშვილი, ნინო ბურჯანაძე, გრიგოლ ვაშაძე, მამუკა ხაზარაძე, ვახტანგ კიკაბიძე, ფიქრია ჩიხრაძე, ბადრი ჯაფარიძე, ძმები ბერძენიშვილები, კოტე კემულარია, ელენე ხოშტარია, თაკო ჩარკვიანი, რომან გოცირიძე და სხვები, მაცნობეს, რომ აქ, ჩვენს ქვეყანაში ჩატარდა კომუნისტური არჩევნები და დამყარდა საბჭოთა წეს-წყობილება. უფრო გასაგებად რომ გითხრათ (გახაროთ), საქართველოში აღსდგა საბჭოთა კავშირი.

ეხლა არ დამიწყოთ, ამ ერთი ციცქნა საქართველოში ვეებერთელა საბჭოთა კავშირი რანაირად ჩაეტიაო?

ჰმ... ამას წინებზე გიგი უგულავამ თქვა ტელევიზორში, თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმებაო. დიახ, თუ გული გულობს, არა მხოლოდ ქადა იჭმება ორივე ხელით, პატარა ქვაბში დიდი ქვაბიც ეტევა და საქართველოში საბჭოთა კავშირიც თავისუფლად თავსდება.

მოკლედ, შევთანხმდეთ, საქართველოში აღსდგა საბჭოთა კავშირი. სანამ მკითხავთ, ანაბრები როდის დარიგდებაო, უნდა მოგახსენოთ, რომ ჯერ გვჭირდება ცეკას პირველი მდივანი. დავსხდეთ, განვიხილოთ, დავადგინოთ. ჩემი ღრმა რწმენით, ამ თანამდებობას იმსახურებს ამხანაგი დავით უსუფაშვილი. იცით, რეიზა? იმიზა, რომა... ის კომუნისტურ პარტიაში შევიდა 1989 წლის 10 აპრილს, იმ დღის მეორე დღეს, როცა საბჭოთა ჯარებმა რუსთაველზე ჩვენი გოგო-ბიჭები აჩეხეს ნიჩბებით. ვაღიაროთ, ეს იყო დიდი შეცდომა და სწორედ ამიტომაც ჰქმნა უსუფაშვილმა მაი საქმე, მისი დიადი მიზანი იყო, შესულიყო პარტიაში და შიგნიდან დაელაგებინა სიტუაცია, გასაკიცხი გაეკიცხა, დასასჯელი დაესაჯა, დასაჯილდოებელი დაეჯილდოებინა. სამწუხაროდ, ამხანაგ დავითს არ დასცალდა, მის ჯინაზე საბჭოთა კავშირი დაშალეს.

სხვათა შორის, პირველი მდივნის თანამდებობაზე კიდევ სამი კანდიდატი გვყავს – ამხანაგი მიხეილ სააკაშვილი, ამხანაგი გრიგოლ ვაშაძე და ამხანაგი მამუკა ხაზარაძე. თუმცა უნდა გითხრათ, რომ ესენი ერთმანეთს ვერ იტანენ – მაგალითად, ამხანაგი მიხეილ სააკაშვილი ამბობს, რომ ამხანაგი მამუკა ხაზარაძე არის ტლუ:

"ამ კაცმა ვერაფერი ისწავლა ცხოვრებაში. „გეპეის“ კომკავშირის მდივანი როცა იყო, გამოვარდნენ „გეპეიდან“ დუბინკით ის და მისი "ბოევიკები" და მერაბ კოსტავას, რომელსაც ერთადერთი პალტო ჰქონდა, საცოდავს, ცხოვრებაში, რადგან ციხიდან იყო ახალი გამოსული, მამუკა ხაზარაძემ ის პალტო მთლიანად შემოახია".

რაც შეეხება თვით ამხანაგ სააკაშვილს, მიუხედავად იმისა, რომ დაიბადა თბილისში, საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში (ასე უწერია ბიოგრაფიაში), მსახურობდა უკრაინის სასაზღვრო ნაწილში, რომელიც ყოველთვის იყო კაგებეს კონტროლის ქვეშ, მაინც აქვს მიდრეკილება ანარქიული ქმედებებისკენ – როდესაც საქმე ეხება პროლეტარიატსსა და კომუნიზმის ნათელ იდეებს, ახასიათებს ტვინის ამღვრეულობა და დორბლიანობა. მეტიც, ის ზოგიერთ საკითხს ისე უყურებს, როგორც ლენინი ბურჟუაზიას. ამას თავადვე აღიარებს, როცა საბჭოთა ჯარში ვმსახურობდი, პოლიტიკურად არასანდოობაში მადანაშაულებდნენო:

"ერთ-ერთმა რუსმა ოფიცერმა ჩემზე საჩივარიც კი დაწერა და მე პოლიტიკურად არასანდოობაში დამადანაშაულა, უკრაინელმა პოლკოვნიკმა კი ეს საჩივარი ხელში ჩაიგდო, მანახა ეს დოკუმენტი და ჩემს თვალწინ დახია".

სხვათა შორის, ამხანაგი მიხეილ სააკაშვილი თავისი დაუდგომლობით, ანცობით და ბიოგრაფიით ძალიან ჰგავს ამხანაგ ვლადიმერ ლენინს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ორივენი 21 რიცხვში არიან დაბადებულნი, პირველი დეკემბერში, მეორე – იანვარში. რაც მთავარია, ორივე რევოლუციონერია, ერთმა რუსეთში დაამხო ნიკოლოზ მეორე, მეორემ საქართველოში დაამხო ედუარდ პირველი.

გრიგოლ ვაშაძე – ამ ამხანაგზე თამამად ვისაუბრებდი, რომ არა მისი ორსახოვნება. არა, ბიოგრაფია ნამდვილად საამაყო აქვს, მაგრამ არის ერთი "მაგრამ"... ამ გრიგოლის ბაბუა, ისიც გრიგოლ (გრიშა) ბესარიონის ძე ვაშაძე იყო 1924 წლის აგვისტოს აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი ჭიათურაში. მართალია, შემდგომში ამ გრიგოლმა საგვარეულო ბიოგრაფია მკვეთრად გამოასწორა, 1981 წელს წარმატებით დაამთავრა მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი, 1981–1988 წლებში მუშაობდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში საერთაშორისო ორგანიზაციების განყოფილებაში, შემდგომ კოსმოსისა და ბირთვული შეიარაღებების განყოფილებაში, მაგრამ შემჩნეულია იმპულსურობასა და ვირეშმაკობაში – მას შეუძლია, ერთ დღეს პოლიციელებს უტყაპუნოს, ჟურნალისტებს "თქვე ჩემისებო" ეძახოს, მეორე დღეს კი დიპლომატიური ენით ამტკიცოს, რომ სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა, რაც კატეგორიულად ეწინააღმდეგება მარქსიზმის მატერიალურ გაგებას. სხვათა შორის, ამხანაგ გრიგოლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ 2008 წლიდან 2012 წლამდე ჯიბით ისე ატარა დიადი რუსეთის პასპორტი, ვერავინ ვერაფერს მიხვდა... რომ არა რუსების ჩაშვებობა, ვერც ვერავინ მიხვდებოდა. განა ეს არ არის დასაფასებელი, ამხანაგებო? ამიტომ, შემოვდივარ წინადადებით, ამხანაგი გრიგოლი გავამწესოთ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად, შემდეგ კი ვნახოთ, შეიძლება პირველ მდივნობასაც გამოჰკრას ხელი.

საქართველოში არის ერთი პიროვნება, რომელიც აცხადებს, ცეკას პირველი მდივანი მე უნდა ვიყო, ოღონდ დავით აღმაშენებლის სტატუსითო. ეს გახლავთ ჯუნიორ (გიორგი) ვაშაძე. მისივე მტკიცებით, მდიდარი გამოცდილება აქვს ფუნდამენტური რეფორმების ინიცირების, დაგეგმვისა და მართვის მიმართულებით, რომელიც სათავეს იღებს კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის ფილოსოფიური და სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის შრომებიდან. ჩემი აზრით, "მშვენიალური" კანდიდატურაა, მაგრამ მისი მერყევი ხასიათი მიგვანიშნებს, რომ ამ ეტაპზე ცოტა ადრეა ამხელა პასუხისმგებლობის დაკისრება. პრინციპში, ამხანაგ ჯუნიორს ისეთი მარჯვენა ხელი ჰყავს თაკო ჩარკვიანის სახით, ნებისმიერ საკითხს წამში გადაჭრის. თუმცა აქ არის კიდევ ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი – ეს ადამიანი მოქმედებს დავით აღმაშენებლის სტრატეგიით, რაც წინააღმდეგობაში მოდის მარქსიზმ-ლენინიზმის დიად იდეებთან. მაგალითად, ამხანაგ დავითის სტრატეგიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სარზე გასმას. აი, აქ კი ვაწყდებით ძალიან დიდ პრობლემას – როგორც კულუარებიდან ხდება ცნობილი, სანამ ჯუნიორი თავის ახლობლებს დასვამს სარზე, თურმე დაიჟინა, მანამდე მე უნდა დავჯდეო, უნდა გამოვცადო, ეს რა შეგრძნებებთანაა დაკავშირებულიო. მე თანახმა ვარ, ჯერ დაჯდეს, დანარჩენზე კი შემდეგ ვიმსჯელოთ.

ამხანაგებო, ერთი საიდუმლოც უნდა გაგიმხილოთ: ამ წუთას დამირეკა ამხანაგმა ვახტანგ კიკაბიძემ, ერთ ერთმა ღვაწლმოსილმა მარქსისტმა და მთხოვა, აუცილებლად ჩავრთოთ დიად საქმეში ნიკოლოზ მაჭუტაძე. ჩემდა სამარცხვინოდ უნდა ითქვას, არც კი ვიცოდი, ამ ბიჭს უთქვამს: მე მოვკლავ დედას, დავახრჩობ მამას, თუკი პარტია მიბრძანებს ამას! ხედავთ, ამხანაგებო, როგორი აღმაფრენა და შთაგონება გამოსჭვივის ამ პოეტური გამონათქვამიდან? დიახ, ჩვენ გვჭირდება ასეთი კადრები, ჩვენ ის უნდა გავამწესოთ კომკავშირის ცეკას პირველ მდივნად და მოადგილედ დავუნიშნოთ ხათუნა გოგორიშვილი, რათა არ ჰქონდეს გადაცდომები, ახალგაზრდაა მაინც, დედას რომ მოკლავს და მამას რომ დაახრჩობს, აქეთაც არ მოგვდგეს, ეს ქლიავი!

ამხანაგი რომან გოცირიძე შემოდის წინადადებით, რომ ის დავნიშნოთ ხაზინის უმფროსად. სხვათა შორის, ამხანაგ რომანს არ უნდა დავუკარგოთ ერთი ზოგადსაკაცობრიო თვისება – მას შეუძლია, ქვეყანაში ყველა გადააქციოს მილიონერად. მართალია, საბჭოთა საზოგადოებაში მილიონერები და მილიარდერები არ არსებობენ, არც სექსი არსებობს, მაგრამ თუ ვთხოვთ, პროლეტარიატის საერთო მდგომარეობას მკვეთრად გააუმჯობესებს, ანუ ყველას ჯერ გააკუპონებს, შემდეგ კი გამოაკუპონებს. რაც მთავარია, ამხანაგი რომანი ქვეყანაში საფუძველს ჩაუყრის ულვაშიზაციის ფუნდამენტურ პრინციპებს.

ამ წერილის დასრულებას ვაპირებდი, მაგრამ ბეგობარმა დამირეკა და ორიოდე წუთით შევყოვნდი:

- ალო, გავიგე, საბჭოთა კავშირი აღსდგა, მართალია? – მეკითხება ის.

- მა რააა! – ვპასუხობ მე.

- ერთმა მითხრა, თანამდებობები ნაწილდებაო.

- მა რააა!

- ჰოდა, ერთი თხოვნა მაქვს.

- მთხოვე.

- ბიჭო, შალვა ნათელაშვილი არ დამიტოვოთ ისე... ბოლო-ბოლო, საბჭოთა სკოლა აქვს გავლილი, ინსტიტუტიც მოსკოვში დაამთავრა.

- კარგი, გავითვალისწინებთ.

- დიდი მადლობა.

უი, ნინო ბურჯანაძე? ანზორიკო ბიწაძე? – ჩამძახა ჩემმა მეორე "მე"-მ. არ ინერვიულოთ, ამხანაგებო, მშობლიური პარტია ყველას დაუფასებს ამაგსა და ღვაწლს, ნუ დაგავიწყდებათ, ჩვენ გვჭირდება უამრავი კადრი – ცეკას მესამე მდივნები, რაიკომის მდივნები, რაიაღმასკომისა და კომკავშირის მდივნები... ჩვენ ასევე გვჭირდება ფქვილი, ქატო, ქერი, ნამჯა, იონჯა.

•

ამხანაგებო, თქვენი არ ვიცი და... მე უკვე დავიღალე ამ კეთილებმოტ...ნულთა მაიმუნობით, პრეტენზია აქვთ ქვეყნის მართვაზე და ამ დროს თითზე წასასმელი ტვინი არც ერთს არ გააჩნია თავში.

ფუჰ!!!

**P.S.** რაც შეეხება ანაბრებს... როგორ გითხრათ, მამუკა ხაზარაძე რომ გახდება ცეკას პირველი მდივანი, ეგრევე დაგირეკავთ. მანამდე არაფერი გეტკინოთ.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პოლიტბიურო









# ბაიდენი მოდის, ტრამპი მიდის, მარადონა კი ზეცაში გააგრძელებს ფეხბურთის თამაშს



მსოფლიოს წამყვანი პოლიტოლოგები, ჯერ კიდევ შარშან ვარაუდობდნენ, რომ 2020 წელი სამყაროში პოლიტიკური თვალსაზრისით უაღრესად დაძაბული იქნებოდა. გამართლდა მათი პროგნოზი. მართალია, ფართომასშტაბიანი შეიარაღებული დაპირისპირება მსოფლიოში საბედნიეროდ არ ყოფილა, მაგრამ ცალკეულ ქვეყნებში მწვავე შინაური დაპირისპირებებია. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ამერიკის



შეერთებულ შტატებში არსებული პოლიტიკური სიტუაცია.

ფაქტობრივად არსებული ცივი ომი (ასე აფასებენ ექსპერტები), აშშ-ი დემოკრატიულ პარტიასა და პრეზიდენტ დონალდ ტრამპს შორის, ჯერ კიდევ 2016 წელს, საპრეზიდენტო არჩევნების დასრულებისთანავე დაიწყო. ინაუგურაციიდან მოყოლებული, ტრამპს უამრავი შინაური წინააღმდეგობის დაძლევა მოუხდა. დემოკრატები, პრესის მხარდაჭერით არ აძლევდნენ პრეზიდენტს მუშაობის საშუალებას. იმპიჩმენტის მოწყობაც სცადეს, რაც ჩაუვარდა თ. ამიტომ, დონალდ ტრამპის რეიტინგის ზრდა დაიწყო. მაისის ბოლოს ამერიკაში არეულობებმა იფეთქა შავკანიანი მოსახლეობის უფლებების დაცვის მოტივით. ექსპერტები იმთავითვე აცხადებდნენ, რომ აქციების ორგანიზებაში დემოკრატების ხელი ურევიაო. დარბევა-არეულობები არჩევნებამდე გაგრძელდა.

მთავარი მოვლენა არჩევნები იყო, რომლის ობიექტურობის შესახებაც უკვე ბევრი ითქვა და გამეორება არ ღირს. თუმცა, ტოტალურ გაყალბებაზე დღემდე საუბრობენ, როგორც აშშ-ი, ასევე მის ფარგლებს გარეთ. საინტერესოა, რატომ გახდა დონალდ ტრამპი, როგორც პრეზიდენტი, ცალკეული წრისთვის მიუღებელი. ტრამპის მიზანი იყო კვლავ გაეხადა ამერიკა დიადი, აღედგინა ეკონომიკა, უარს ამბობდა სხვა ქვეყნების შინაურ საქმეებში ჩარევაზე, გლობალიზაციაზე... გადადგა კიდეც ქმედითი ნაბიჯები, რომლის შედეგად ქვეყანაში საგრძნობლად შემცირდა უმუშევრობა. რაც მთავარია, მისი პრეზიდენტობის პერიოდში, აშშ-ს არ უწარმოებია ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებები რომელიმე ქვეყანასთან, წინამორბედებისგან განსხვავებით.

წინასაარჩევნოდ, 2016 წელს დონალდ ტრამპის მოსახლეობისადმი ერთ-ერთი დანაპირები „ვაშინგტონის ჭაობის ამოშრობა“ იყო. ექსპერტები იმთავითვე ეჭვობდნენ, ვერ რომ შეასრულებდა პირობას. პოლიტოლოგები, მათ შორის ამერიკელებიც, დღეს უკვე ღიად საუბრობენ, რომ აშშ-ი პრეზიდენტს დამოუკიდებლად მოქმედება არ შეუძლია, ქვეყანა ფაქტობრივად კულუარებიდან იმართება.

1960 წელს არჩევნებში ჯონ ფიტცჯერალდ კენედიმ გაიმარჯვა, რომელმაც კონკურენტ რიჩარდ ნიქსონს მხოლოდ 0,2%-ით გადაასწრო. არჩევნების შემდეგ გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერდა: „... მიუხედავად იმისა, რომ მხარს ვუჭერდით კენედის, ჩვენი (ანუ მსხვილი ბიზნესი და ბანკირების — გ.ბ.) აზრით, მაინც კარგია,



რომ ის ხმათა უმნიშვნელო უპირატესობით იქნა არჩეული. ეს ფაქტი უნდა იქცეს დამამუხრუჭებელ ძალად, რომელიც კენედის მთავრობას აიძულებს დაიცვას სიფრთხილე, შეახსენებს, რომ არ არის უფლებამოსილი, შეიტანოს რადიკალური ცვლილებები საშინაო ან საგარეო პოლიტიკაში“ — ამით ბევრია ნათქვამი თუ დღევანდელობასთან გავავლებთ პარალელს, დავინახავთ დონალდ ტრამპს ცალკეულ პოლიტიკოსებთან ერთად გიგანტური სოციალური ქსელების მფლობელებიც დაუპირისპირდნენ. განსხვავება კი ის გახლავთ, რომ ჯონ კენედი მოკლეს, დონალდ ტრამპი კი არჩევნების საშუალებით ჩამოიცილეს.

დავუბრუნდეთ დღევანდელობას. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების შედეგები ოფიციალურად არ გამოცხადებულა და სიმართლის დასადგენად სხვადასხვა ინსტანციებში ბრძოლა დღემდე გრძელდება, ჯო ბაიდენი თავს გამარჯვებულად მიიჩნევს. გასული კვირის დასაწყისში, ყველასთვის მოულოდნელად დონალდ ტრამპმა თავის ადმინისტრაციას განკარგულება მისცა — დაიწყონ ხელისუფლების გადაცემის პროცედურისთვის სამზადისი. პრეზიდენტის გადაწყვეტილება ექსპერტებმა ტექტონიკურ ძვრებს შეადარეს. როგორც ჩანს დონალდ ტრამპი მიხვდა, რომ პოსტის შენარჩუნების შანსები მცირდება.

ჯო ბაიდენი აშშ-ის 46-ე პრეზიდენტი იქნება. უკვე დაიწყეს თეთრი სახლიდან მისთვის საიდუმლო ინფორმაციების მიწოდება. წარადგინა პრეზიდენტობის პერიოდში პირველი 100 დღის სამუშაო გეგმა. ბაიდენის განცხადებით, ტრამპის მიერ გამოცემულ კანონების დიდ ნაწილს გააუქმებს. მისივე თქმით, 11 მილიონი მიგრანტი გაისად აშშ-ის მოქალაქეობას მიიღებს. ტრამპმა შეზღუდა მიგრანტების მიღება, რათა ამერიკელებისთვის არ წაერთვათ სამუშაო ადგილები. „... ჩემი გუნდი დაიცავს ამერიკის ეროვნულ ინტერესებს. გავითვალისწინებთ მოკავშირეების ინტერესებს, მაგრამ მთავარი ჩვენი ამერიკის იქნება. დავიცავთ ამერიკას და მეგობარ ქვეყნებს, მთელ მსოფლიოს... ამერიკა დაბრუნდა! ამერიკა დაბრუნდა, რათა კვლავ მართოს და უხელმძღვანელოს მსოფლიოს!“ — აცხადებს ჯო ბაიდენი. მისივე თქმით, ტრამპისგან განსხვავებით არავის დევნას არ დაიწყებს. ბაიდენის მთავარი დაპირება სხვადასხვა, განსაკუთრებით სექსუმცირესობის უფლებების დაცვა.

უკვე დაიწყო მომავალი პრეზიდენტის ადმინისტრაციის ფორმირება. დღეისთვის რამდენიმე მათგანია ცნობილი. სახელმწიფო დეპარტამენტს ენტონი ბლინკინი უხელმძღვანელებს, რომელიც ობამას პრეზიდენტობის პერიოდში მუშაობდა უწყებაში და განაგებდა ყირიმის და ახლო აღმოსავლეთის მიმართულებებს. ამერიკელი ექსპერტების შეფასებით, ორივე მიმართულებით ჩააფლავა დიპლომატიური საქმიანობა. ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი ახლა მისი მოადგილე იქნება და კურირებას კლიმატის საკითხებს გაუწევს. თეთრი სახლის კომუნიკაციების სამსახურში მხოლოდ ქალები დასაქმდებიან ჯემს ფსაკის მეთაურობით. ისაც ობამას კაბინეტში მოღვაწეობდა, რომელმაც თავი უცნაური გამონათქვამებით თუ დაბნეული საქციელით დაამახსოვრა საზოგადოებას. ამიტომაც ქილიკობენ ექსპერტები — ახალი კი არა, ობამას მესამე ადმინისტრაციააო. ამას კატეგორიულად უარყოფენ ბაიდენის გუნდში, მაგრამ... რაც მთავარია ბაიდენის გადაწყვეტილებით ხელისუფლების ყველა შტოებში აუცილებლად იქნებიან სექსუმცირესობის წარმომადგენლები.

სამკვირიანი დუმილის შემდეგ დონალდ ტრამპი მადლიერების დღეს შეხვდა ჟურნალისტებს. მისი თქმით, მზად არის დატოვოს თეთრი სახლი, თუ ამომრჩეველთა საბჭოს კოლეგია დაუშვებს შეცდომას და პრეზიდენტად ჯო ბაიდენს დაასახელებს. ტრამპი კვლავ გაყალბებულ არჩევნებზე საუბრობდა. წლევანდელი არჩევნები განვითარებად ქვეყნებისას შეადარა. მისივე განცხადებით, 20 იანვრამდე შეიძლება ბევრი რამე მოხდეს. მადლიერების დღესთან დაკავშირებით, ტრადიციულად 2 ინდაური შეიწყალა. ღონისძიება პანდემიის მიზეზით ვიწრო წრეში გაიმართა. ინდაურების გარდა, ტრამპმა თავისი მეგობარი და ყოფილი თანაშემწე მაიკლ პლინიც შეიწყალა, რომელიც სასჯელს ინფორმაციის დამალვისთვის იხდიდა. მართალია, ბაიდენმა ადმინისტრაციის ფორმირება დაიწყო, მაგრამ თეთრი სახლისთვის ბრძოლა ჯერ არ დასრულებულა, ვინ შევა ოვალურ კაბინეტში უცნობია.

გასულ კვირას ირანში მოკლეს ფიზიკოსი მოჰსენ ფაჰრიზადე, რომელიც ქვეყანაში ბირთვულ პროგრამას ხელმძღვანელობდა. ვინ განახორციელა ფაქტობრივად ჩაკეტილ ქვეყანაში ტერორისტული აქტი, ჯერ უცნობია. თუმცა, ირანელები ისრაელის და აშშ-ის სპეცსამსახურებს აბრალებენ.

დანაკლისი განიცადა მსოფლიოს სპორტმა. გასულ კვირას გულის შეტევით გარდაიცვალა დიეგო არმანდო მარადონა. ფეხბურთელი, რომელმაც დიდი კვალი დატოვა სპორტში. გამოირჩეოდა სამშობლოს სიყვარულით. მისთვის ორი რამ იყო მთავარი — არგენტინა და ფეხბურთი. მისი ერთ-ერთი მთავარი ტიტული კაცთმოყვარეობა იყო. არ ივიწყებდა ქველმოქმედებას. გავიხსენოთ თუნდაც მისი თბილისში სტუმრობა. ვიღაცეებმა გადაწყვიტეს მარადონას საქველმოქმედო ამხანაგური თამაშით ფულის გაკეთება, რამაც განარისხა დიეგო. კატეგორიულად მოითხოვა ყველა მსურველის სტადიონზე უბილეთოდ შეშვება. როგორც ნებისმიერ ადამიანს მასაც ჰქონდა დადებითი და უარყოფითი მხარეები ცხოვრებაში, მაგრამ როგორც ფეხბურთელი განუმეორებლად დარჩება. ამიტომაც თქვა პელემ: „...ფეხბურთს ზეცაში ერთად ვითამაშებთ“. 1986 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე ინგლისის ნაკრების კარში გატანილი ბურთი დღემდე საუკუნის საუკეთესო გოლად ითვლება, მაშინ დიეგომ 60 მეტრზე მეტი ატარა ბურთი, მოატყუა 4 მინდვრის მოთამაშე, მეკარე და გაიტანა... ასეთი იყო განუმეორებელი მარადონა. ამიტომაც მთელმა არგენტინამ გააცილა უკანასკნელ გზაზე თავიანთი კერპი.

**გია ბურდული**
551 71 27 07



# საბრალდებო დასკვნა მიხოსათვის

## მიხო – მხდალი ყვარყვარე და მასხარა კალიგულა



**ელიზბარ ჯაველიძე:**

აი, უკვე კარგი ოცდაათი წელია, ქართველი ხალხი, რომელსაც ცნობიერება და სამშობლოს სიყვარული არ დაუკარგავს, აზვირთებულ ზღვაზე უკომპასო გემივით, ხან ერთ კლდეს ეჯახება, ხან – მეორეს და სასოწარკვეთილი კითხულობს: გვეშველება რამე?! ამ კითხვითაც ჩემთვის ხშირად მოუმართავთ ნაცნობებს თუ უცნობებს, მეც იმედიანად ვამშვიდებდი მათ: ღვთისმშობელი მარიამის წილხვედრი ქვეყანა ვართ, ღმერთი არ გაგვწირავს, ჭკუას და გონებას თუ მოვუხმობთ და ხელს გავანძრევთ, გვეშველება-მეთქი!

და, აი, ახლა დღევანდელი სიბილწის, უზნეობის, ბოროტებისა და თავგზააბნეულობის მაყურებელი დარწმუნებით ვაცხადებ: ჰაი, ჰაი, რომ არაფერი გვეშველება! და იცით, რატომ: ქართველი ხალხის არცთუ მცირე ნაწილმა დაკარგა (თუ დააკარგვინეს) აზროვნების უნარი და ჭეშმარიტების რწმენა, სულიერად დაკნინდა და ღირსება ჩაუკლეს და მხოლოდ თავის კეთილდღეობაზე ფიქრობს, ცხოვრების წესად აქციეს „სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო". მეტიც, სულიერება არად მიიჩნიეს, მუცლის ამოყორვა გაიხადეს მიზნად, ჟინს და ვნებას აყოლილნი, ცხოველური თავისუფლება აირჩიეს და იქმნიან იმას, რასაც ცხოველიც კი არ იკადრებს. ამიტომაც არ მიკვირს, ეს გზააბნეული ბრბოდ ქცეულნი, ვერ არჩევენ ბნელსა და ნათელს, ბოროტსა და კეთილს, მტერსა და მოყვარეს. თუ ისტორიას გადავავლებთ თვალს, აღმოვაჩენთ, რომ ამგვარი არსებანი მზეს გაურბიან და ბნელეთს ეტრფიან, ანგელოზს ხელს კრავენ და სატანას ეპოტინებიან, რადგანაც თავად უფალმა დაუჩლუნგა მათ გონება, დაუხშო ყურები და დაუბრმავა თვალები. და, რაც მთავარია, რაც უფრორე მეტად დაუნდობელი და ტანჯვა-წამების მომყენებელი სატანა-მმართველია, მით უფრო მეტად ილტვიან მისკენ და ემორჩილებიან მას. და ამით გაყეჩებული სატანა, ეშმაკისეულ ფიქრს დაუფლებული, ერთობ ამლიერებს მათ ჩაგვრას და წამებას, რათა მის ყურმოჭრილ მონებს, ტანჯვის უღელში გაბმულთ, მორჩილთ, ცხვრის ფარასავით რომ მიჰყვება მას სამარემდე, რაიმე ნათელი აზრი არ დაეუფლოს, თავისუფლების და შვების სიო არ შეიგრძნონო.

წარსულის ეს მეტაფორული სურათი, იმიტომ მოვიხმე, რომ იგი გვაგონებს ჩვენს დღევანდელ უკუღმართ ყოფას და ტრაგედიას, ნაციონალური მოძრაობის ბელადმა მიხომ და მისმა თანამებრძოლმა მიხუინებმა რომ დაატეხეს ჩვენს ბედკრულ ქვეყანას. ეს ის ხანა იყო, როცა „ყვარყვარეობა" ხარობდა საქართველოში, როცა განუკითხაობა ბატონობდა და უზნეობის თარეში სუფევდა. და, სწორედ ამ გლობალიზაციის მშფოთვარე ჟამს, გარეშე ძალების და, საკუთრივ, მსოფლიო თაღლითის სოროსის დაფინანსებით ამ ყვარყვარემ, პირწავარდნილი მორფინისტების შემწეობით, მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება და იმის ნაცვლად, რომ სისხლის სამართლის დანაშაულის მუხლით დასჯილიყო „ვარდების რევოლუციის", იმხანად, რომ „ფერადი რევოლუციის" სახელით ფრიად გავრცელებული იყო ევროპაში, წინამძღოლად და ბელადად აღიარეს ეს მხდალი „ყვარყვარე" და მასაც თავისი ფუყეობა და სიმხდალე რომ დაემალა, რკინის კვერთხი აიღო ხელში და ქართველი ხალხის მწყემსვა დაიწყო. მისი მმართველობის მთავარი მიზანი იყო ქართველი ხალხის მორჯულება, უფრო სწორედ, მონურ მორჩილებაში მოქცევა. და, რაც მთავარია, საქართველოს ისტორიის მდიდარი კულტურის და განათლების, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების და ეროვნების მოსპობა-განადგურება. ეს არ იყო იოლი საქმე: მან მოირგო ე.წ. „დემოკრატის" სამოსი, რომლითაც ის ქართველ ხალხს და მსოფლიოს ატყუებდა, მაგრამ მალე მოისროლა ის და ტირანი დესპოტის მათრახი და მახვილი აღიღო ხელში და მძვინვარე მხეცად გადაიქცა.

დემოკრატიულ ველში ადამიანის დესპოტად და მხეცად გარდაქმნას ერთობ შთამბეჭდავად გადმოგვცემს დიდი ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი თავის შრომაში „სახელმწიფო", რომელიც ძალზე მაგონებს მხდალი მიშიკოს მხეცად და დესპოტად – მიხოდ გარდაქმნის პროცესს. ამიტომაც თვალსაჩინოებისათვის ზოგიერთ ადგილს გავიხსენებ: „როცა ახალგაზრდა საკმარის განათლებას მოკლებულია და უცბად იგემებს მუქთახორობის თაფლის გემოს, იგი ხვდება საშიში და მძვინვარე მხეცების გარემოში, რომელთაც შეუძლიათ მას ყოველგვარი სიამოვნება მიანიჭონ, ნაირგვარი და ფერად-ფერადი... მაშინ იწყება სწორედ „ოლიგარქის" „დემოკრატად" გარდაქცევის პროცესი (559 დე). მითუმეტეს, ეს ჩქარდება, როცა შეამჩნევენ, რომ ყმაწვილის სულის აკროპოლი თავისუფალია, იპყრობენ მას, რადგანაც იქ არ არის არც ცოდნა, არც კეთილი ჩვევანი, არც მართალი სიტყვა (559 ე). აი, ამ დროს, როცა დააცარიელებენ ყმაწვილს სულს, მაშინ მას ავსებენ სითავხედით, თავაშვებულობით და გარყვნილობით, განადიდებენ მათ სხვადასხვა სახელით და, რაც მთავარია: თავხედობას უწოდებენ განათლებას, თავაშვებულობას – თავისუფლებას, გარყვნილებას – ამაღლებულ მშვენიერებას, უსირცხვილობას – მამაცობას (560 ე).

აქვე მცირე რემარკა: მიშას რომ საკმარისი განათლება არ ჰქონდა და მუქთახორული ცხოვრება იტაცებდა და სიამოვნებას იყო აყოლილი, ყოველთვის ცხადია. ახლა, იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ მისი სულის აკროპოლია მთლიანად დაცლილი იყო ცოდნისაგან, კეთილი ჩვევებისა და მართალი სიტყვისაგან და მის ნაცვლად გაბატონდა ზემორე ჩამოთვლილი თვისებანი. სავსებით ცხადი გახდება, რომ ოლიგარქული ბუნების მიშა მოჩვენებით დემოკრატად გარდაიქცა. ვგონებთ, ეს მისი გარდაქმნა ეჭვს არ იწვევს.

კვლავ ფილოსოფოსს მოვუსმინოთ: მისი აზრით, როცა სახელმწიფო წყობა ე.წ. დემოკრატიის ფასადით იმოსება, სინამდვილეში კი დამპალ ნიადაგზეა აღმოცენებული, მაშინ ის გვაგონებს ბებერ პატარძალს, ფერუმარილით რომ ითხუპნება და ცდილობს თავისი დანაოჭებული სახე და მყრალი სული ჭარბი მაკიაჟით და თავისუფლების ვუალით დამალოს, მაგრამ, სინამდვილეში, როგორც კი დემოკრატიის მაუწყებელი ენძელა თავს წამოყოფდა, მაშინვე ძალმომრეობის ტარით ტორავდა მას... ახლა, თუ მთლად არ დავკარგეთ მახსოვრობის უნარი, გავიხსენოთ, როგორ აფრიალებდა მიშიკო დემოკრატიის დროშას, ვარდებით როგორ რთავდა თბილისის ქუჩებს, რათა თავისი ძალმომრეობით განადგურებული უდანაშაულო ადამიანთა სისხლის კვალი დაეფარა და თავისი ბოროტი სულის სიმყრალე ვარდის სურნელით გადეფარა. ერთხანს ამას ახერხებდა.

მაგრამ, თუ პლატონს დავუჯერებთ, ის, ვინც იგემა „ადამიანის წვრილად დაჭრილი შინაგანობა შეწირულ ცხოველების ხორცთან ერთად", ის გარდაუვლად იქცევა მგლად. სწორედ ასევე ემართება „ხალხთა წარმომადგენლებსაც, როცა მათ ჰყავთ ზედმეტად მორჩილი ბრბო, განა ისინი უარს იტყვიან თავიანთ თანამემამულეთა სისხლის სმაზე?! – კითხულობს პლატონი და აგრძელებს – პირიქით, ისინი უმართებულო ბრალდებებით მათ სასამართლოს გადასცემენ, სიცოცხლეს ართმევენ და თავიანთი უწმინ-დური ბაგეებით და ენით მოყვარეთა მკვლელობით პირს იგემრიელებენ"... ასეთ ვითარებაში აღმოჩენილ არსებას ისღა დარჩენია – ასკვნის ფილოსოფოსი, რომ ან თავის მტრების ხელით უნდა განიგმიროს, ანდა იქცეს ტირანად და ადამიანობიდან მგლად გარდაიქმნას".

მგლობის რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩვენი კურდღელივით მშიშარა მიშა – რა არის ხალხი არ გამოფხიზლდეს და პასუხი არ მაგებინოს, ტირანად გარდაიქცა და თავისი მიხუინებების წაქეზებით და შთაგონებით ყოვლისშემძლეობის და დაუსჯელობის განცდა დაეუფლა და, როგორც მოეპრიანებოდა, ისე სჯიდა უდანაშაულო ადამიანებს, უპრაკუნოდ ხოცავდა და მათი სისხლის დალევის ჟინს იკლავდა. ქვეცნობიერად თუ ცნობიერად იქმოდა იმას, რასაც ნორმალურ ადამიანს ფიქრადაც არ მოუვიდოდა, თავს კალიგულად წარმოიდგენს და თავისი ვერაგობით, სიბილწით, გარყვნილებით და შინაგანი ღვარძლით იმდენად დაემსგავსა ტირანს, რომ გამიჩნდა სურვილი, მათი ფიზიკური თუ სულიერი თვისებები, ხასიათები და ქცევები შედარებით სპექტრში წარმოეჩინა და შედეგმაც არ დააყოვნა. დიაგრამულმა სურათმა ოც გზის ურთიერთიდენტური ნიშანი გვიჩვენა (იხ. ელიზბარ ჯაველიძე, საქართველოში უზნეობის სუფევს თარეში, თბ., 2011 წ., გვ. 47–66). ცხადია, ამჯერად არ ვაპირებ, მათი შედარები-











თი სურათის ვრცლად მოხმობას, მაგრამ რამდენიმე სიტყვით ეს მათი იდენტურობა შეიძლება ასე გადმოიცეს: ა) უზომო თვითდაჯერილობა და, იმავდროულად, სიმხდალე და შიში; ბ) შურისა და ღვარძლის სიჭარბე, სახელოვან წინაპართა უდიერად მოხსენიება და მათი ძეგლების მსხვრევა-განადგურება; გ) სისხლის სამართლის და ყოველგვარი კანონების საკუთარ თავზე მორგება და მათი განხორციელება; დ) თავის მეგობართა და თანამებრძოლთა დამდაბლება და სასიკვდილოდ გაწირვა; ე) „დე ვძულდეთ, ოღონდ ეშინოდეთ”, პრინციპი მათი მოღვაწეობისა; ვ) უდანაშაულო ადამიანების წამების გაუგონარი ფორმები და მეთოდები და ამ წამების ხილვით გამოწვეული ნეტარება; ზ) საკუთარი თავის წარმოსაჩენად უაზრო ბრძოლების წამოწყება და მარცხის სხვაზე გადაბრალება და საკუთარი სიმხდალის ათასგვარი ხერხით დამალვა; თ) სახელმწიფო ხაზინის უკანონო ხარჯვა პირადი კეთილდღეობისათვის, ქვეყნის ბიუჯეტის გამოფიტვა და გადასახადების მომატება; ი) მომეტებული გარყვნილობა და საკუთარი ვნების სხვადასხვა ფორმით დაოკება; კ) საერთოდ ადამიანის და განსაკუთრებით კი პატიმრების შეურაცხყოფა და მათი ფიზიკური თუ მორალური განადგურება და სხვ...







ამგვარად, ამ მასხარა კალიგულამ და მისმა ერთგულმა და



სააკაშვილს და მის გუნდს ერთ რამეს ვერ წაართმევ, როგორც „კავკასიურ ცარცის წრეში" იძახდა ნაცისტურჩაფხუტიანი გმირი: „ჩვენ რასაც ვაკეთებთ, ლა-ზა-თია-ნად ვაკეთებთო!" ჩვენი ნაცები მართლაც ლაზათიანად წვავდნენ, ლაზათიანად ართმევდნენ, ლაზათიანად აშინებდნენ, ლაზათიანად იღებდნენ ჩვენებებს, ლაზათიანად აფორმებდნენ საპროცესო გარიგებებს, ლაზათიანად არეკეტებდნენ, თუ სჭირდებოდათ, ლაზათიანად აწამებდნენ კიდეც, ლაზათიანად ხრავდნენ სახელმწიფო ქონებას, ლაზათიანად ლივლივებდნენ, ხოლო ბოლოს კი ლაზათიანად ანადგურებდნენ ქვეყანას.

საინტერესოა, როდის მოხვდებათ ქართული მართლმსაჯულების ლაზათიანი ალიყური ამ ავაზაკებს?

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30



# პოლიტიკური კიკუები და წვინტლიანი წუწკები

11 გვ.

ახალი ტიპი, მათ აქტის გარეშე სურთ თანხისა და სიამოვნების მიღება. არადა, ეგრე არ არი, თაყაო, მუქთახორებს, ვიღაც მაჭუტაძეებს ამ სიამოვნებას ვერ მივანიჭებთ, 32 მილიონი ლარი მშვენიერი შვება იქნება ჩვენი მოხუცებისთვის და გაჭირვებულებისთვის.

და მაინც... რა დონეზე შეიძლება ავიდეს უზნეობა ამ ქვეყანაში? აგერ, საამისოდ ძალიან კარგი მაგალითია თაკო ჩარკვიანის "ნაფიქრალ-ნააზრევი" (სტილი დაცულია):

"ვფიქრობ ბევრს და ვიფიქრე, რომ იქნებ არ ვარ სწორი რომ ვეთანხმები ამ პარტიების კუთვნილი დაფინანსების მოთხოვნას, საქმე შემდეგშია: ჩვენ უარს ვამბობთ დეპუტატის მანდატზე, ხოლო გარე დაფინანსებაზე პარტიისა (დიდი ხნის ბჭობის, ყოყმანის, პოლემიკის შემდეგ გადავწყვიტეთ განცხადების გაკეთება დაფინანსების მოთხოვნაზე, რატომ?! იმიტომ, რომ ჩვენ ჩვენმა ამომრჩეველმა ხმა მოგვცა, ხელისუფლებამ კი გააყალბა ხმები მიიტაცა და ჩვენ ვაცხადებთ ბოიკოტს და ცხადია, არ შევალთ პარლამენტში და ეს რა თქმა უნდა სწორია და უცვლელია, მაგრამ არის ერთი სხვა საკითხი: ახლა ისმის კითხვა, რა დააშავა იმ ჩვენმა



ამომრჩეველმა, (არ შევდივართ ეს კარგია, ხოლო დაფინანსების არ აღებით) პრაქტიკულად ვუუქმებთ პარტიას და პარტიის პრაქტიკული ლიკვიდაცია ხდება არ დაფინანსებით, რითი შეიძლება ან ახალი არჩევნებისთვის მოემზადო მომავალში, ჩვენ რა შემოწირულობებიც გვქონდა ყველაფერი გახარჯულია ამ არჩევნების დროს, რომელიც ივანიშვილმა გააყალბა, მეგობრები მეუბნებიან და მართლაც – ივანიშვილსაც ხომ ეს უნდა რომ ლიკვიდაცია მოხდეს ყველა პარტიის – განადგურება! ხომ ასეა? ჩვენ ვითხოვთ ახალ არჩევნებს და ამ არჩევნებამდე პრაქტიკულად ლიკვიდირებას ვახდენთ ჩვენ თვითონვე საკუთარი პარტიების, ამიტომ წარმოიშვა ეს აზრი – კუთვნილი დაფინანსების აღებისა და რა თქმა უნდა, პარლამენტში არ შესვლა. მიუხედავად იმისა, რომ ვიცი რომ ეს თანხა არ უნდა დავუტოვოთ ივანიშვილს და მის გარემოცვას, მაინც „გული მეთანაღრება", არც დაფინანსება მინდა ამათი და არაფერი (ვიცი რომ „ამათი" ანუ ხელისუფლების არ არის და ეს პარტიების თანხაა, იმ ლეგიტიმურობის გამო რაც ხალხმა მიანიჭა ამ ოპოზიციურ პარტიებს, მაგრამ მაინც) მოკლედ ჯერ კიდევ შეიძლება უარის თქმა, მე დაგპირდით ყველაფერს ვიტყვი მეთქი, ჰოდა, აბა ახლა არ დაიძინოთ და ერთად გადავწყვიტოთ ეგ ამბავი".

მივმართავ ჟამთაალმწერელს, რომელიც მომდევნო საუკუნეებში ამ დღეებით დაინტერესდება, დამტვერილი თაროდან "საერთო გაზეთს" გადმოიღებს და წერად დაჯდება: ძვირფასო ჟამთაალმწერელო, ეს ტექსტი გადაეცი განათლების სამინისტროს სპეციალურ კოლეგიას, რათა ფსიქოლოგებთან ერთად განიხილონ და ამორალობის ნიმუშად შეიტანონ დამამთავრებელი (დაწყებითებში ვერ გაიგებენ) კლასების სახელმძღვანელოებში. სხვათა შორის, გაითვალისწინე, რომ ამ შემთხვევაში საქმე არ გვაქვს მხოლოდ ამორალობასთან, ეს არის ფასეულობათა აღრევისა და სინდისნამუსის დაკარგვის მტკიცებულება. ადამიანი რომ იტყვის, ეს ფული ბიძინა ივანიშვილს არ უნდა დავუტოვოთო (რომელსაც გაცილებით მეტი აქვს დახარჯული მის ოჯახზე), აქ უკვე აზროვნების პრობლემაა. სამწუხაროდ, დღეს ასეთ "მოაზროვნეთა" ბუმია საქართველოში.

არადა!

რომ არა ბიძინა ივანიშვილი, პარტიების დაფინანსების ამგვარი წესი და კანონი ბუნებაში არ იარსებებდა. წესით, პარტია უნდა არსებობდეს წევრთა შემოწირულობის ხარჯზე. კომუნისტური პარტიაც კი არსებობდა მხოლოდ შემოწირულობებით, ძველებს გემახსოვრებათ, 2 კაპიკი იყო ყოველთვიური გადასახადი. მესმის, ამ ხელისუფლების მიზანი იყო კეთილშობილური, დაფინანსების შემოღება უნდა ყოფილიყო წინაპირობა პარტიების განვითარებისა და ნორმალური ოპოზიციის ჩამოყალიბებისა, მაგრამ არაფერი გამოვიდა, ფული წყალში იყრება, ჩვენ პოლიტიკაში კვლავაც ვხედავთ მძორთა პლეადას – ბერძენიშვილებს, ნათელაშვილებს, ქარდავებს, დავითაიებს, ბარამიძეებს, ბობოხიძეებს, ბოკერიებს, ბაქრაძეებს, უგულავებს, გოგორიშვილებსა და მათნაირებს.

ეს უნდა დამთავრდეს, ჩვენ არ გვაქვს დამპალ პროვოკატორთა უნიტაზებში ჩასაყრელი ფული... მორჩა!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# თურქეთი აზერბაიჯანს პატრონობს, რუსეთი – სომხეთს, საქართველო კი კვლავ ობოლ და უნათესაო ქვეყნად რჩება

*გვესაუბრება პოლიტოლოგი გულბაათ რცხილაძე*

**— ბატონო გულბაათ, დამეთანხმებით, საგულისხმო და დამაფიქრებელი ფაქტები დატრიალდა ყარაბაღში და აქ მნიშვნელოვანი იყო რუსეთის როლი.**

— პუტინი და ალიევი თავიდანვე შეთანხმებული იყვნენ, რომ აზერბაიჯანის შეიარაღებულ ძალებს გახსნილი ექნებოდათ ხელფეხი ყარაბაღში და მათ რუსეთის შეიარაღებული ძალები არ დაუპირისპირდებოდნენ. ეს გარიგება გამჟღავნდა ყველაზე გვიან, 26 ოქტომბერს, როდესაც ვალდაის კლუბის



ფარგლებში პუტინმა განაცხადა, რომ აზერბაიჯანს უფლება ჰქონდა, დაებრუნებინა ის ტერიტორიები, რომლებიც ყარაბაღის ყოფილი ავტონომიის გარშემო მდებარეობს და უკვე თითქმის სამი ათეული წელია ვერ კონტროლდებოდა, მოლაპარაკებებს კი შედეგი არ მოჰქონდა.

იმთავითვე ცხადი იყო, რომ ეს ყველაფერი უნდა გაეთვალისწინებინათ სომხებს და არა მარტო მათ, თუმცა, რატომღაც, რუსეთის პრეზიდენტის სიტყვები ჯეროვნად ვერ იქნა აღქმული. შედეგი ზუსტად ისეთი მიიღეს სომხებმა, რაც მოსალოდნელი იყო და უარესიც – მათ დაკარგეს კონტროლი ქალაქ შუშაზე, ქალაქზე, რომელიც სტრატეგიულად უმნიშვნელოვანეს ადგილზე მდებარეობს სამხედრო თვალსაზრისით. გარდა ამისა, შუშას აზერბაიჯანელებისთვის დიდი სიმბოლური დატვირთვა აქვს, როგორც მათ ისტორიულ ქალაქს.

რუსეთის სამხედრო შენაერთების განლაგება ყარაბაღში, იმ ხაზის გასწვრივ, რომლის შიდა მხარეს სომხები რჩებიან, კერძოდ, სამი დიდი რაიონი — სტეფანაკერტის, მარდაკერტისა და მარტუნის, ამასთანავე, ლაჩინის დერეფანი, რომელიც ყარაბაღს სომხეთის რესპუბლიკასთან აკავშირებს, იქვე, აზერბაიჯანული ძალები, ერთი მხრივ, რუსეთის სტრატეგიული პოზიციების განმტკიცებაა. რუსეთმა უეცრად მოიპოვა უფლება, ფიზიკურად ჩაერიოს ყარაბაღის კონფლიქტში, როგორც მშვიდობისმყოფელმა მხარემ და სომხეთის დამოკიდებულება გაიზარდოს მასზე. ასევე აზერბაიჯანიც, გარკვეულწილად, „მიაბას" თავის სტრატეგიას. მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს: ალიევმა, შეძლო პუტინის დარწმუნება, რომ იგი უფრო მეტადაა რუსეთის მეგობარი, ვიდრე „სოროსელი" ფაშინიანი და რუსეთს სამხრეთის საზღვართან თურქეთის სამხედრო ძალა შემოუყვანა. აზერბაიჯანის გენერალური შტაბი და ჯარი მთლიანად თურქი ოფიცრების კონტროლს ქვეშ არის მოქცეული. აზერბაიჯანის სხვადასხვა ნაწილში, დაახლოებით, 500 თურქი ოფიცერია დასაქმებული. ზოგი მათგანი ფრონტის წინა ხაზზეც მეთაურობდა აზერბაიჯანულ შენაერთებს. ვიზუალურადაც კარგად ჩანს ეს ვითარება: სამშვიდობო შეთანხმების შედეგად აზერბაიჯანისთვის დაბრუნებულ ქალაქ აღდამში ტანკები აზერბაიჯანული და თურქული დროშებით შევიდნენ. აწყობს ეს რუსეთს სტრატეგიულად? განა რუსეთის ინტერესები არ ზარალდება რეგიონში თურქეთის ასეთი გაძლიერებით? რაც არ უნდა იძახოს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერმა მარია ზახაროვამ, რომ შეთანხმება არ ითვალისწინებს თურქული სამხედრო ძალების ყოფნას ყარაბაღის გარშემო, ეს საქმეს ვერ უშველის – თურქები უკვე არიან აზერბაიჯანში წარმოდგენილნი და საკმაოდ სერიოზულადაც და არსად აღარ აპირებენ წასვლას. დროის საკითხია, როდის „მოჩოჩდებიან" ისინი უფრო ახლოს ყარაბაღთან. რუსების ჯარს კი მხოლოდ სამშვიდობო მანდატი აქვს მაშინ, როდესაც აზერბაიჯანი და თურქეთი ღიად საუბრობენ მოკავშირეობაზე და „ძმობაზე". აზერბაიჯანელებმა ბაქოსა და სხვა აზერბაიჯანული ქალაქების ქუჩებში გამარჯვება აზერბაიჯანული და თურქული დროშებით იზეიმეს. არსად იყო რუსული დროშები, იმ დროს, როცა რუსეთის ნეიტრალურმა პოლიტიკამ განაპირობა აზერბაიჯანის სამხედრო წარმატების შესაძლებლობა. პუტინმა ისიც კი თქვა, აზერბაიჯანს სრული უფლება აქვს, აირჩიოს თავისი მოკავშირეებიო, რითაც, ფაქტობრივად, რუსეთის მხრიდან ლეგალიზება მოახდინა თურქულ-აზერბაიჯანული ალიანსის.

**— თქვენი აზრით, რა არის იმის მიზეზი, რომ რუსეთმა ამ ვითარების მიმართ ლოიალური პოზიცია დაიკავა?**

— ხშირად ამბობენ, რომ ეს პოზიცია ფაშინიანის „სოროსულმა", ანუ ერთგვარმა პროდასავლურმა ბეგრაუნდმა განაპირობა. ეს, ნაწილობრივ, ასეც არის, იმის მიუხედავად, რომ არ იძებნება ფაშინიანის ბიოგრაფიაში პირდაპირი კავშირი სოროსთან. სომხეთის პარლამენტში ფაშინიანის მომხრე მმართველ ფრაქციასთან დაახლოებული სოროსის ფონდთან დაკავშირებული პირები არიან. თუმცა თავისი მმართველობის 2 წლის მანძილზე ფაშინიანს რაიმე სერიოზული ანტირუსული ნაბიჯი არ გადაუდგამს, იგი ხაზს უსვამდა კიდეც, რომ რუსეთის გარდა სომხეთს ალტერნატივა ჰქონდა.






საქმე ისაა, რომ აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ზედმიწევნით სწორად იმუშავა. ალიევმა ფულიც ბევრი დახარჯა ლობისტებთან და ძველი კავშირებიც გამოიყენა — პუტინს შეუქმნა იმისი განცდა, რომ აზერბაიჯანი უფრო მნიშვნელოვანია რუსეთისთვის, ვიდრე სომხეთი. მოკლედ რომ ვთქვათ, აზერბაიჯანს რუსეთის კეთილგანწყობის გარეშე ვერც თურქეთის დახმარება უშველიდა. თუმცა, ყარაბაღში, ამ წარმატების მისაღწევად, დიდი მსხვერპლიც გაიღო. დიახ, ესეც უნდა ითქვას, ამის გარეშე არაფერი იქნებოდა.



რუსეთი, ერთი მხრივ, მოგებულია, მეორე მხრივ, პერსპექტივაში, თურქეთთან დაპირისპირება ძნელი ასარიდებელი ხდება. თურქეთი რუსეთის მიმართ არ ეშვება მტრული პოლიტიკის გატარებას, აქეზებს უკრაინას და აიმედებს ყირიმთან დაკავშირებით, საუბრობს ყირიმელი თათრების უფლებებზე, როგორც საკუთარ ხალხზე. თურქეთი ლიბიაში და სირიაშიც რუსეთის ინტერესებს არსებითად ეწინააღმდეგება. რუსეთის უპირატესობა კავკასიაში ის არის, რომ სომხეთში რუსეთის ძალები ძლიერდებიან და კონტროლზე აჰყავთ აზერბაიჯანისა და ნახჭევანის დამაკავშირებელი, სომხეთზე გამავალი გზა. თუმცა საეჭვოა, რომ ამ ტრასაზე აქტიური მიმოსვლა დაიწყოს. სამაგიეროდ, რუსეთმა მუდმივად უნდა იზრუნოს ყარაბაღში უპერსპექტივოდ დარჩენილი სომხური მოსახლეობის უსაფრთხოებაზე, რაც ისედაც რთულია, თან არ არის გამორიცხული, რომ იქ სხვადასხვა მხარის მიერ დაგეგმილი პროვოკაციები მოხდეს. არავის აწყობს მშვიდობა ყარაბაღში, დესტრუქციული ძალები იქ ვითარების არევას შეეცდებიან. თურქეთის გარდა ასეთი ძალა ამერიკაცაა, თუმცა ეს ჯერ კიდევ პერსპექტივაა და შედარებით მოგვიანებით შეიძლება მოხდეს.

**— ამ პერსპექტივით, საბოლოოდ, ვინ წააგო ამ ომში და როგორია ჩვენი მდგომარეობა ამ სიტუაციაში?**

— ამ კონფლიქტში წაგებული, ცალსახად, სომხეთია, მაგრამ მნიშვნელოვნად მცირდება აშშ-ის გავლენა, ევროპა კი საერთოდ კარგავს ყველანაირ ბერკეტს ყარაბაღზე. როგორც ჩანს, კოვიდ-კრიზისებიდან გამომდინარე, ინტერესი ისედაც დაკარგულია.

ეს ყველაფერი ჩვენი მედასავლეთე პოლიტ-ისტებლიშმენტისთვის სერიოზული გაფრთხილება უნდა იყოს. დასრულდა ამერიკის პარპაში ზოგადად, და მით უმეტეს, ჩვენს რეგიონში. რუსეთი და თურქეთი, მიუხედავად, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, მათ შორის არსებული სტრატეგიული დაპირისპირებისა, ტაქტიკურად, მაინც გარიგებულნი არიან ერთმანეთში, ვაჭრობისა და ენერგეტიკის სფეროში რუსეთის მიერ განხორციელებული ინვესტიციები თურქეთში შთამბეჭდავია. ამას გვერდს ვერავინ აუვლის. ამერიკას კი თურქეთთან არ აქვს დალაგებული ურთიერთობები, მას შემდეგ, რაც ერდოღანს შეთქმულება მოუწყვეს ამერიკაში მოკალათებულმა ძალებმა ფეთჰულა გიულენის მეთაურობით. რაც არ უნდა გემები ატაროს ამერიკამ ვიზიტებით შავ ზღვაში, ეს მის სტრატეგიულ პოზიციებს კავკასიაში ვერ გააძლიერებს. საქართველო, რომელიც ბოსფორის სრუტიდან, იმავე ნატოს წევრი რუმინეთისგან, სადაც ამერიკული ბაზაა, შორს მდებარეობს, ამერიკისთვის თავის ტკივილი უფრო იქნება, ვიდრე დახმარება. ამიტომ არ ვიზიარებ ქართველი ე.წ. ექსპერტების აჟიოტაჟს, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ამერიკული სამხედრო ბაზების განლაგების თაობაზე. ვფიქრობ, რომ ეს ვერ განხორციელდება. სამაგიეროდ, პროვოკაციებში საქართველოს ჩართვა ამერიკისთვის ტრადიციულად იოლი საქმეა და ბაიდენის ადმინისტრაციამ თუ ეს პოლიტიკა აირჩია, ასე მოხდება კიდეც — ამერიკა იბრძოლებს საქართველოთი და კიდევ სხვა საქართველოსნაირი ჩამორჩენილი და გაბითურებული წარმონაქმნების ხელით.

**— ანუ თქვენ ფიქრობთ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა მხოლოდ დეკლარაციაა?**

— 21-ე საუკუნე არის ცივილიზაციების, მსხვილი კულტურული პოლუსების ეპოქა, წვრილი ნაციონალიზმის ადგილი, როგორსაც ჩვენ, ქართველები და, მთლიანად, კავკასიელები ვართ მიჩვეულნი, მსოფლიოში აღარ არ არის. ეს დაღუპვაა. უნდა ვისწავლოთ ცივილიზაციურ კატეგორიებში აზროვნება. დააკვირდით: იგივე აზერბაიჯანი უკვე მოიაზრებს თავს დიდი თურქეთის ნაწილად. თურქები ამბობენ, რომ არსებობს „ერთი ხალხი და ორი სახელმწიფო", ანუ თურქი ხალხი ორ სახელმწიფოში — თურქეთის რესპუბლიკასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკაში. სომხები დიასპორის იმედად არიან და რუსეთს ეკედლებიან, რადგან რუსული გარანტიების გარეშე სომხეთი ვერც იარსებებს. რუსეთი ისტორიული პარტნიორი და მფარველია კავკასიაში.

ქართველები ვის ნაწილად მოვიაზრებით? კიდევ ვიტყუებთ თავს, რომ ევროპა ვართ? თუ ევროპა ვერ გავხდით და ისევ ამერიკის შტატი გვგონია თავი? დიახ, ვერც „საერთო კავკასიური სახლი" იარსებებს. არც სხვა ვარიანტი არსებობს. ჩვენ უნდა ვიყოთ მართლმადიდებელი ცივილიზაციის ნაწილი, რომლის ბუნებრივი ლიდერი რუსეთია და მხოლოდ ამ კონტექსტშია განსახილველი ჩვენი ქვეყანა. ამის გარეშე ობოლი საქართველო, უნათესავო ქართველი ერი, თანამედროვე პირობებში, სიცოცხლისუუნაროა.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

# გრიპის ვაქცინა კოვიდისგან ვერ დაგიცავთ!

**გვესაუბრება იმუნოლოგიის ფუძემდებელი საქართველოში, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის ასოციაციის საპატიო თავმჯდომარე, აკადემიკოსი ნოდარ გოგებაშვილი:**



**— ბატონო ნოდარ, ნოემბრის შუა რიცხვებიდან კოვიდს სეზონური გრიპიც დაემატა. ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, წელს საქართველოში 153 ათასი ერთეული გრიპის ვაქცინით მეტია შემოტანილი, ვიდრე წინა წელს. თქვენ, რას ურჩევთ მოსახლეობას, რამდენად ეფექტურია გრიპის ვაქცინა?**

— დავიწყოთ იმით, რომ როცა ქვეყანაში პანდემიაა, ამ დროს მსოფლიო გამოცდილებით, სხვა აცრები არ ტარდება. რაც შეეხება გრიპის ეფექტური ვაქცინის შექმნას, ამაზე, მე-20 საუკუნის დასაწყისიდან უამრავი მეცნიერი მუშაობდა, მაგრამ ეფექტური ვაქცინა ვერ დამზადდა იმიტომ, რომ გრიპის ვირუსი ძალიან ცვალებადია, მუტაციას განიცდის და ეპიდემიის ჩამთავრების შემდეგ, მეორე ეპიდემიას უკვე შეცვლილი ვირუსი იწვევს. როცა გარეთ კოვიდის პანდემია მძვინვარებს, ამ დროს გრიპის ვაქცინით იმუნიტეტის დასუსტება, მიზანშეწონილი არ არის. ზოგადად, არსებული კანონებით რაც გამოცდილების, არაერთი კვლევის საფუძველზეა მიღებული, აქსიომაა, რომ ვაქცინაცია სპეციფიური პროცესია და მხოლოდ შესაბამის ანტიგენზე მოქმედებს. დიახ, ვაქცინის მოქმედება არის სპეციფიური. ეს გახლავთ კლასიკა. გრიპის ვაქცინა კორონასგან გვიცავსო, ეს მოსაზრება სრულიად გაუგებარია. როცა გრიპის ვაქცინა შემოიტანეს, ბატონმა ამირანმა განაცხადა: ორი ეპიდემიის თანხვედრა რომ არ მოხდეს, გრიპის ვაქცინაცია უნდა ჩავატაროთო.ე.ი. უკვე გამორიცხულია ხომ, რომ გრიპის ვაქცინა კორონას შველის?! რაც შეეხება ზოგადად, გრიპის ვაქცინას, გამოცდილებიდან და ჩატარებული კვლევებიდან ირკვევა, რომ მან არ გაამართლა. გრიპის ვირუსის გამოყოფა ადვილია, რათა ვაქცინა დამზადდეს. მაგრამ ეფექტური ვაქცინა ვერ მზადდება, რაც განპირობებულია ვირუსის თვისებები თ. საქმე ის გახლავთ, რომ როგორც მოგახსენეთ, გრიპის ვირუსს ძალიან დიდი ცვალებადობა ახასიათებს, ანუ, მუტაცია. ამიტომ, შარშან არსებული გრიპის ეპიდემიისთვის დამზადებული ვაქცინა, მომავალ წელს არაეფექტურია. როდესაც ვირუსი ჩნდება, ვაქცინის დამზადებას, დაახლოებით, ექვსი თვე სჭირდება — გამოყოფა, დამუშავება, უვნებლობა, ჩამოსხმა ამპულებში, მერე ობიექტებში მიტანა. ამ ექვს თვეში კი ეპიდემია უკვე გასულია. ვაქცინა მზად არის, მაგრამ ეპიდემია აღარ არის. გრიპის ვირუსის ასეთი ცვალებადობის, მუტაციის გამო, ვაქცინის ეფექტურობა ძალიან დაბალია, დაახლოებით, 30-დან 45%-მდე.

მოგეხსენებათ, ახლა, კოვიდ-ინფექციასთან მიმართებით, მძიმე მდგომარეობაა შექმნილი. ამიტომ, გრიპის ვაქცინაციით იმუნური სისტემის გადატვირთვა მიზანშეწონილი არ არის. როცა ქვეყანაში ასეთი პანდემია მძვინვარებს, უკვე, სხვა აცრებს აღარ ატარებენ. ეს დაუშვებელია იმიტომ, რომ იმუნური სისტემის აქტივობა ქვეითდება და დასუსტებული ორგანიზმი კოვიდს სათანადოდ ვეღარ ებრძვის.

**— ანუ, ბატონო ნოდარ, გრიპის ვაქცინა იმუნიტეტს ასუსტებს, რაც კორონას შეხვედრის შემთხვევაში ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის?**

— დიახ. მოდით, უფრო ვრცლად ავხსნათ: გრიპის ვაქცინა, რომელიც ამჟამად შემოტანილია, როგორც მოგახსენეთ, რამდენიმე ანტიგენს შეიცავს — ფრინველის, ღორის გრიპისას და ა.შ. ეს, მართალია ერთ ამპულაშია მოთავსებული, მაგრამ ხუთ სხვადასხვა ანტიგენს შეიცავს. ჩვენს იმუნიტეტს ყოველ ანტიგენზე სხვადასხვა რეაქცია აქვს. თანაც, ვაქცინაცია იმით განსხვავდება სხვა პროცესებისგან, რომ ყოველი ანტიგენის მიმართ მისი რეაქცია არის სპეციფიური. ეს სპეციფიურობა ახასიათებს იმუნიტეტს. ერთდროულად ხუთი ანტიგენი რომ შეჰყავთ, შესაბამისად, ხუთი ტიპის ანტისხეული წარმოიქმნება. ანტისხეულის წარმოქმნა, მთლიანად, იმუნური პროცესია. ფაქტობრივად, გამოდის, რომ ამ ანტიგენების მიმართ ერთდროულად ვითარდება იმუნური პროცესები და ანტისხეულები გამომუშავდება. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ახალი ინფექცია, რომელსაც დეკემბრის შუა რიცხვებიდან ველოდებით, არ ვიცით რომელი ტიპით იქნება გამოწვეული. ჩვენები ვარაუდობენ: იქნებ, ერთ-ერთი დაემთხვასო, მაგრამ მოხდება თუ არა ასე, ეს არავინ იცის. თუ არცერთი არ დაემთხვა, ამ ვაქცინას ეფექტურობა არ ექნება. ამიტომ, ბევრ ქვეყანაში დიდი ხანია გრიპის ვაქცინაცია აღარ ხდება, მათ შორის, არც ამერიკაში, არც გერმანიაში, არც შვეციაში და ა.შ. ზოგადად, ევროპის ქვეყნებში გრიპის ვაქცინაციას არ ატარებენ, მიუხედავად იმისა, რომ კოვიდ-19-ით საკმაოდ შეშინებულები არიან. ვაქცინაციას რუსეთშიდაც კი აღარ ატარებენ. ტრამპს რომ ჰკითხეს გრიპის ვაქცინაციაზე მოსაზრება, მან უპასუხა: ეს აფიორააო. ახლა, როცა კოვიდი მძვინვარებს, ამ გრიპის ვაქცინაციის ჩატარება, ეს გახლავთ ცეცხლზე ნავთის დასხმა, რადგან დასუსტებული იმუნიტეტით კორონასთან შეხვედრა, სიცოცხლის დაკარგვის ტოლფასია. ესპანეთში არსებული კვლევის ESTUDIO DE BARBASTRO-ს





მიხედვით ბარბასტროს მოხუცთა თავშესაფარში კოვიდ-19-ით გარდაცვლილი 30 მოხუციდან 29 აცრილი იყო გრიპის ვაქცინით. ზუსტად, იგივეს ჰქონდა ადგილი იტალიაშიც და ჩინეთშიც!

გრიპის ვაქცინა რომ შეგყავს, იქ, იმუნური პროცესი იწყება და იმუნიტეტი სუსტდება. არადა, წესით იმუნიტეტი უნდა გავაძლიეროთ, გრიპის ვაქცინა, პირიქით, საპირისპირო ეფექტს იწვევს — აქვეითებს იმუნიტეტის აქტივობას.

**— ბატონო ნოდარ, როცა გრიპის ვაქცინა შემოიტანეს, განაცხადეს, რომ პირველ რიგში რისკ-ჯგუფები აიცრებიან, მათ შორის, ქრონიკული დაავადებების მქონე პირები. მაგალითად, მე, გულის ოპერაცია მაქვს გადატანილი და რას მირჩევთ, რამდენად მიზანშეწონილია აცრა ჩავიტარო?**

— რას ბრძანებთ, რისკ-ჯგუფებისთვის, განსაკუთრებით დაუშვებელია გრიპის ვაქცინის ჩატარება. რასაკვირველია, ეს არ შეიძლება. თქვენ, უნდა მიირთვათ თაფლი და სხვა ნატურალური პროდუქტები, რომელიც იმუნიტეტის სტიმულაციისთვის ძალიან კარგია. მაგალითად, მე, ჯერ გრიპით ავად არ ვყოფილვარ. ჩვენთან, გრიპის სეზონის ორი პერიოდია აქტუალური — დეკემბრის მეორე ნახევრიდან 15 იანვრამდე და თებერვლის მეორე ნახევრიდან 15 მარტამდე. ორი ძირითადი პიკი გვაქვს. თუ მიაქციეთ ყურადღება, რუსეთის ტელე-არხებზე გადაცემებს შორის მუდმივად ხდება იმ პროდუქციის რეკლამირება, რომელიც იმუნიტეტს აძლიერებს. იქ, აღარ სთავაზობენ გრიპის ვაქცინაციას.

**— თქვენი საუბრიდან გამომდინარე, ალბათ, არც ბავშვებში ემხრობით გრიპის ვაქცინით აცრას. თანაც, აქ გვეუბნებიან, ბავშვი 6 თვიდან უნდა აცრათ გრიპის ვირუსზეო?**

— რაც შეეხება ბავშვებს, აცრებს ისინიც უნდა მოერიდონ. ჩემი შვილები არასდროს ყოფილან გრიპით ავად.



 ბაღში სიარულის პერიოდში როცა პატარები იყვნენ, სურდო თუ დაემართებოდათ, თორემ, გრიპი არასდროს ჰქონიათ. მთავარია, ორგანიზმი იყოს გაძლიერებული. არსებობს იმუნიტეტის გამაძლიერებელი სპეციალური პრეპარატები, კურსი 25 დღეა, ვყიდულობ და მერე, მთელი წელი თავისუფალი ვარ.

**— რას ურჩევთ მკითხველს როგორ გაიძლიერონ იმუნიტეტი?**

— სამწუხაროდ, ამ პრეპარატებს ვერ დავასახელებ, რადგან ეს შეიძლება რეკლამაში ჩამითვალონ, მაგრამ გეტყვით, რომ იმუნიტეტის გასაძლიერებლად ძალიან კარგია თაფლი ნებისმიერი ფორმით — წყალში გახსნილი, ჩაიში, ოღონდ, არა ცხელში. ასევე, ხილი, ბოსტნეული, ნატურალური პროდუქტები.

**— ბატონო ნოდარ, ამას წინათ გავრცელდა მოსაზრება, რომ ვისაც ბცჟ-ს აცრა აქვს გაკეთებული კორონა არ შეხვდებაო. ეს რამდენად შეესაბამება სიმართლეს?**

— ეს არ არის სერიოზული. ამ აცრას კორონასთან არავითარი კავშირი არ აქვს. პირველი ტალღის დროს იმიტომ იყო ნაკლები შემთხვევები, რომ ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებები კარგად ჩატარდა, საწოლებიც იყო და გართულებული შემთხვევების მკურნალობაც შესაძლებელი იყო. ახლა, საწოლები აღარ არის. მაშინ, მკურნალობაც სწორი გზით წავიდა. ბცჟ-ს აცრას რაც შეეხება, ეს მარტო საბჭოთა კავშირში და საფრანგეთში კეთდებოდა. როგორც კვლევებმა აჩვენა, ეს აცრა ორგანიზმს არ იცავს.

**— ბატონო ნოდარ, კორონას პირველი ტალღის მერე, აანონსებდნენ, რომ მეორე ტალღა უფრო ძლიერი იქნებოდა. ამის პროგნოზირება მართლა შესაძლებელია თუ რასთან გვაქვს, ამ შემთხვევაში, საქმე?**

— ზოგადად, გრიპის ვირუსს თავის კანონზომიერება აქვს. ყოველ 25 წელიწადში ეპიდემია უფრო მძლავრია. დიახ, იძახდნენ რომ მეორე ტალღა უფრო მძიმე იქნებაო, მაგრამ ამის პროგნოზირება შეუძლებელია. ეს ერთადერთ შემთხვევაში შეიძლება იწინასწარმეტყველო — ხელოვნური ჩარევის შედეგად, შეიძლება, ახალი შტამი შემოიყვანონ, თორემ, სხვა შემთხვევაში, წესით, ასე არ ხდება.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# თინათინ თოფურიას უნიკალური რეცეპტები კორონავირუსისგან თავდასაცავად

ნოემბრის მეორე ნახევრიდან საქართველოში კორონა ვირუსის შემთხვევებმა და გარდაცვალების ფაქტებმა კატასტროფულად იმატა. საზოგადოება პანიკაშია. ადამიანის ეკოლოგიის ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, **აკადემიკოსი თინა თოფურია** ამ ვერაგ ინფექციასთან დაკავშირებით სასარგებლო რჩევებს გვიზიარებს:

**— ქალბატონო თინა, მოსახლეობაში დიდი ნდობით სარგებლობთ. ყველას აინტერესებს, რა რჩევებს მისცემთ ამ ვირუსით დაავადებულებს?**

— ყველა დაავადება და პათოლოგიური მდგომარეობა ფსიქოსომატური გენეზისაა. ამიტომ, პირველ რიგში, ფსიქიკა უნდა მოვიყვანოთ წესრიგში. როცა ადამიანში ნეგატიური ემოციები სჭარბობს, ის გაცილებით მოწყვლადი ხდება ნებისმიერი პათოგენის მიმართ. მის ორგანიზმში ისეთი ენერგია წარ-



მოიქმნება, რომელიც ვირუსისთვის კომფორტულ გარემოს ქმნის და ხელს უწყობს მის დამანგრეველ მოქმედებას. ამიტომ, უნდა მოვიცილოთ ის შიში და პანიკა, რამაც დღეს საზოგადოების დიდი ნაწილი მოიცვა. როდის აშინებდა ადამიანებს ხველა, გაციება ან დაბალი სიცხის გამო ვინ იძახებდა სასწრაფოს?! დღეს კი ამან მასიური ხასიათი მიიღო. პანიკა რომელიც ადამიანს ეუფლება, ხშირად, ხდება სუნთქვის გაძნელების მიზეზი, რაც კოვიდთან არავითარ კავშირში არ არის, მაგრამ პაციენტის სუბიექტურ მდგომარეობას ამძიმებს, თუმცა, სუფთა ნევროზულ ხასიათს ატარებს. სწორედ ამან გამოიწვია ჯანდაცვის სისტემის კოლაფსი, რაც თავისთავად, მასიური ფსიქოზის მიზეზი ხდება. პანიკის მიზეზი კი შემდეგია: გამუდმებით გვესმის ინფორმაცია დაინფიცირებულების და გარდაცვლილების შესახებ. ინფიცირებული ნიშნავს, რომ პირს დადებითი ტესტი აქვს. ეს არ ნიშნავს რომ ის დაავადებულია. მას უსიმპტომო ავადმყოფი უწოდეს. იგი არც ავადაა და არც გადამდებია. მისმა იმუნიტეტმა ვირუსი ისე დაძლია, რომ არცერთი სიმპტომი არ გამოუვლინდა. ეს ჩემი თეორიის სისწორეზე მიუთითებს — ასეთ ვირუსებთან ბრძოლა მხოლოდ საკუთარი იმუნური სისტემის მეშვეობითაა შესაძლებელი.

**— რას გვეტყვით, როგორ მივხედოთ იმუნიტეტს?**

— პირველ რიგში, **შიშისგან უნდა გავთავისუფლდეთ**, რაც იმუნიტეტზე დამანგრევლად მოქმედებს. ვიმოძრაოთ რაც შეიძლება მეტი. ვაკეთოთ სუნთქვითი ვარჯიშები. მივიღოთ ბევრი დადებითი ემოცია. ვუყუროთ კომედიებს, ვუსმინოთ მუსიკას, მოვესიყვარულოთ ერთმანეთს, მოვიწესრიგოთ ძილის რეჟიმი და რა თქმა უნდა, ვიკვებოთ ჯანსაღად.

**— ქალბატონო თინა, გაგვანდეთ თქვენი რეცეპტები, რაც კოვიდთან გამკლავებაში დაეხმარება მოსახლეობას.**

— პირველ რიგში, ეს გახლავთ **ნიორი — ვირუსების საფრთხობელა**! როგორც ჩვენი წინაპრები ამბობდნენ: ნიორის ეშმაკსაც კი ეშინია. მაგრამ საჭიროა ნიორის სწორად გამოყენება, რათა არაფერი დავიზიანოთ. ბევრი ყლაპავს ნიორის ლებნებს, რაც მიზანშეწონილი არ არის, რადგან იგი ნაღვლის ბუშტს, კუჭის ლორწოვანს აღიზიანებს. ასევე, არასწორია მისი ღეჭვა, რაც პირის ღრუს ლორწოვანს აღიზიანებს. უმჯობესია შემდეგი რეცეპტის გამოყენება:

**ნიორის ნაყენი**: ერთ პატარა კბილ დაჭყლეტილ ნიორს დავასხათ ერთი სუფრის კოვზი არაყი ან 30 გრადუსიანი სპირტი. გავაჩეროთ სიბნელეში 48 საათი. სახლიდან გასვლისას მივიღოთ ერთ ჩაის კოვზ წყალზე 10 წვეთი ნაყენი. ასევე, წავისვათ ცხვირის ნესტოებთან და პირის უბეებთან;

**ვირუსის პირველივე სიმპტომებისას მიირთვით ნიორის ჩაი**. ეს არის უნივერსალური



ანტივირუსული საშუალება, რასაც ჩემი პაციენტები წარმატებით იყენებენ. 2–3 მიღების შემდეგ აღარც გაგახსენდებათ რამე თუ გაწუხებდათ. მოქმედებს ყველა ვირუსზე. ორი საშუალო ზომის დაჭყლეტილი ნიორი ჩაყარეთ ერთ ჩაის ჭიქა გამზადებულ ჩაიში (ჩაი უნდა იყოს დაყენებული და არა პაკეტის), დაამატეთ 1 ჩაის კოვზი შაქარი. დაახურეთ და შეფუთეთ 20 წუთი. მიირთვით ცხლად დღეში 2–3 ჭიქა. ჩაი არ უნდა იყოს ძალიან მუქი;

**დაიზილეთ ფეხის გულები ნიორის ნაყენით, ჩაიცვით შალის ან ბამბის წინდა და გაიჩერეთ მთელი ღამე**. ბავშვებს წყლით ისე გაუზავეთ, რომ მწველი არ იყოს, დაახლოებით, 1/3 ან 1/5. არ შეგყვეთ ნიორის ნაჭერი, იხმარეთ მხოლოდ წვენი;

**სახლიდან გასვლისას კარგია მიხაკის ღეჭვა, ან ლოყის უკან დინდგელის ნაჭერის ჩადება;**

დილას და საღამოს აუცილებელია ყელის სანაცია. ამისათვის გამოიყენეთ ძმრიანი წყალი შემდეგი პროპორციით: ერთი სუფრის კოვზი ძმარი გახსენით ერთ ჩაის ჭიქა თბილ წყალში. ასევე, გირჩევთ გამოიყენოთ ლიმონიანი წყალი შემდეგი პროპორციით 1/2½ან 1/3. ახლა მოდურია სუფთა ლიმონის წვენის მიღება და ცხვირში ჩაწვეთება. განუზავებელი წვენი ძალიან ძლიერია და ზოგიერთს უკვე გამოეხატა ცხვირის ლორწოვანის გაღიზიანება, შეშუპება, სისხლდენა, როგორც კაპილარების დაზიანების შედეგი. ასევე, სახეზეა კუჭის პრობლემები იმ პაციენტებში, ვისაც გასტრიტი და კუჭის წყლული აქვს. ასე, რომ გახსოვდეთ, რომ ყველაფერში ზომიერებაა საჭირო.

**ძალიან სასარგებლოა ვირუსების დროს ლიმონის მიღება**, როგორც ც და სხვა ვიტამინების წყარო. კოვიდის დროს კი მას სისხლის გამათხელებელი ეფექტიც აქვს, რაც უფრო აქტუალურს ხდის, როგორც წამალს; ასევე, უნივერსალური საშუალებაა ტყემლის ტყლაპი;

**სასარგებლოა ფილტვების გაკაჟება ბუშტების ბერვით**, რაც მის ფუნქციას აძლიერებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხანდაზმულებისთვის, რომელთა ფილტვები უკვე ნაკლებ ელასტიურია და სუნთქვისას ბოლომდე არ იხსნება. ხშირად არის შეგუბებითი პროცესიც. ამიტომ, ბუშტში უნდა ჩაბერო არა იმდენად მისი გაბერვის მიზნით, არამედ სრული ამოსუნთქვის განსახორციელებლად. ამისთვის, საკმარისია 4–5 საშუალო სიძლიერის ჩაბერვა დღეში 3–4-ჯერ და სისტემატიურად;

ითვლება, რომ სანამ კორონა ორგანიზმს დააზიანებს, რამდენიმე დღე ცხვირ-ხახაში რჩება. საჭიროა მისი გამორეცხვა. ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა წყალბადის



ზეჟანგი. 10 წვეთი ჩავასხათ 30მლ. თბილ წყალში. ჩავისხათ თითო ნესტოში იმდენი, რომ ცხვირიდან ხახაში გადავიდეს, იქედან კი პირში. რაოდენობა დამოკიდებულია თქვენი ცხვირის სიდიდეზე. ამ პროცედურას იტარებთ როდესაც ქუჩიდან ბრუნდებით, დღეში, მინიმუმ, 2-ჯერ. შეგიძლიათ იმდენჯერ ჩაიტაროთ რამდენჯერაც სახლიდან გასვლა და დაბრუნება გიწევთ. განუზავებლად მისი გამოყენება არ შეიძლება, ასე, დაიზიანებთ ცხვირის ლორწოვანს;

**ყოველდღე გაწმინდეთ იატაკი სველი ტილოთი, ოთახები გაანიავეთ დღეში რამდენჯერმე**. არ გადაყაროთ ლიმონის, ფორთოხლის, გრეიფრუტის კანები. ოდნავ გაფხიკეთ დანით ისე, რომ სუნი გაუშვას და დააწყვეთ ოთახის სხვადასხვა ადგილებში; ნივრის კბილი დაჭერით სიბრტყეზე, მოათავსეთ პატარა ლამბაქზე და დადეთ იატაკზე მოსახერხებელ ადგილებზე. თუ სახლში ბავშვები ან



ცხოველები გყავთ, დადეთ მათთვის მიუწვდომელ ადგილებზე;

**სახლში ჰაერის გაწმენდის შესანიშნავი საშუალებაა ევკალიპტი**. რვა ფოთოლს დაასხით 1 ლიტრი ცივი წყალი და ადუღეთ დაბალ ცეცხლზე ღია ჭურჭელში 10–15 წუთი. მერე გამორთეთ და მთელ სახლში შემოატარე თ. დროდადრო წამოადუღეთ და ეს პროცედურა გაიმეორეთ დღეში 3–4-ჯერ. თანაც, ჩაისუნთქეთ მისი ორთქლი, ოღონდ გამორთულ მდგომარეობაში და არა დუღილის დროს, რათა ორთქლით სახე არ დაიწვათ. შეგიძლიათ გაიკეთოთ ინჰალაციები;

**კოვიდის დროს მნიშვნელოვანია სწორი კვება**. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ამ ვირუსზე დამანგრევლად მოქმედებს ბროწეულის წვენი და გვირჩევენ დღეში ერთი ჭიქა მივიღოთ, რაც განზავებას არ საჭიროებს. შეგიძლიათ მისი მიღება მარცვლების სახითაც. გირჩევთ ეს საპროფილაქტიკოდაც მიიღოთ, ყველაფერს მოუხდება. ბროწეული არის ანტიოქსიდანტიც, ანტიკოაგულანტიც, ვიტამინების წყაროც, ანთების საწინააღმდეგო ეფექტის მქონეც და ა.შ.;

**ვირუსული ინტოქსიკაციის დროს ორგანიზმის გამწმენდად გამოიყენეთ ნიახურის ნახარში**. ერთ კონას დაასხით 800მლ ცივი წყალი და ადუღეთ 20 წუთი დაბალ ცეცხლზე. მიიღეთ ცხლად 1 ჩაის ჭიქა ერთხელ უზმოზე და მეორედ 5–6 საათზე. ეს არის ორი დღის პორცია. გაფრთხილება! ვისაც აქვს კენჭი ნაღვლის ბუშტში მათთვის ამის მიღება არ შეიძლება. ვისაც ნაღვლის ბუშტი ამოჭრილი აქვს, მისაღებია შემდეგი დოზირება — ერთი ყავის ჭიქა დღეში ერთხელ;

საკვები უნდა იყოს მსუბუქი, სასურველია მოწალული ბოსტნეული. ზოგი ურჩევს უმ ბოსტნეულს, რასაც არ ვეთანხმები, რადგან კოვიდის დროს გამოიკვეთა ფაღარათის ტენდენცია. ამ დროს უმი ბოსტნეული აუარესებს ისედაც გაღიზიანებული ნაწლავების მდგომარეობას. ასეთ შემთხვევაში, კარგია მოხარშული კვახი ან კვახის ბრინჯიანი ფაფა, რა თქმა უნდა, რძის გარეშე;

**განსაკუთრებულ როლს ვანიჭებ კომშს**. კომშის კომპოტი და მოთუშული კომში ფილტვების და ბრონქების უებარი წამალია;

შევამჩნიე კორონას ერთი თავისებურება, რაზეც ყურადღებას არავინ ამახვილებს — მაღალი სიცხის დროს პაციენტს არ ახასიათებს ოფლიანობა. ეს იწყება მაშინ, როცა სიცხე აღარ არის. ასევე, ოფლიანობენ ისინი, ვისაც დაბალი სიცხე აქვს, რაც ზოგადი სისუსტის მაჩვენებელია. ამ დროს ადამიანს აქვს უჩვეულო ძილიანობა და დაღლის შეგრძნება. დააკვირდით, ამ დროს, შარდის ფერს. იგი უფრო მუქი და კონცენტრირებული ხდება. ამ პერიოდში გირჩევთ მიიღოთ კამის ნახარში, რაც მიეშველება თირკმლებს ორგანიზმის დეზინტოქსიკაციაში. 1 კონა კამას დაასხით 1 ლიტრი წყალი და ადუღეთ დახურულ ჭურჭელში 15 წუთი. დალიეთ თბილი 4-ჯერ დღეში 70მლ. ასევე, ორგანიზმს ტოქსინების შარდით გამოყოფაში შეგიძლიათ მიეშველოთ მინდვრის შვიტას საშუალებით;

**— აქტუალურია კორონას დროს დ ვიტამინის მიღება. რამდენად იცავს იგი კორონასგან?**

— დ ვიტამინის რეკომენდაციებს იმ კვლევების საფუძველზე იძლევიან, რომელიც იმ ქვეყნებშია ჩატარებული, სადაც მზე ენატრებათ. საქართველოში ამის აუცილებლობა არ არის. საკმარისია, დილას 11-დან 12 საათამდე 30 წუთით მზეს მიეფიცხო ისე, რომ სახე და კისერი ღია გქონდეს და დ ვიტამინს ორგანიზმი მზის სხივებით თავისით გამოიმუშავებს. რამდენად დაიცავს იგი კორონასგან არავინ იცის, მაგრამ მისი დეფიციტი რომ იმუნიტეტს ასუსტებს, ეს ცნობილია.

**— როგორც ვიცი, საკამათო თემა გახდა კოვიდის სამკურნალოდ თუთიის გამოყენება. როგორია, თქვენი, მოსაზრება ამ საკითხზე?**

— მთელ მსოფლიოში ბევრი ექიმი აქტიურად იყენებს თუთიას სამკურნალოდ და საპროფილაქტიკოდ. თუთია იმდენად ეფექტური გამოდგა, რომ ტრამპის კოვიდ-საწინააღმდეგო მკურნალობაში იყო ჩართული, როგორც ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი. სავსებით საკმარისია პაციენტმა მიიღოს პოლივიტამინი, რომელიც შეიცავს თუთიას. მიირთვით ამ ელემენტით მდიდარი საკვები: ნიგოზი, ნუში, მზესუმზირა, არახისი, ჰერკულესი, ხორბალი, ხორცი, ყველის მაგარი სახეობები, კრევეტები და ორგანიზმი საჭირო დოზას თავისით შეივსებს. აქვე, გთავაზობთ, კიდევ ერთ გემრიელ ნუგბარს, რომლითაც შეივსებთ ორგანიზმისთვის აუცილებელი ვიტამინებისა და მიკროელემენტების დეფიციტს: ამ სასუსნავი „წამლის“ დღიური დოზა გახლავთ: კაკალი 10 ლებანი, ნუში 10 ლებანი, თხილი 10 ცალი, გარგლის ჩირი (კურაგა) 8 ცალი, ლეღვის ჩირი 4 ცალი, ქიშმიში 1 სუფრის კოვზი. ესენი გავატაროთ და დავასხათ თაფლი 3 სუფრის კოვზი, ავურიოთ და მივიღოთ ერთი ჩაის კოვზი დღეში ორჯერ. მიღების წინ კარგად ავურიოთ.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# ლი კუან იუს სასწაული, ანუ როგორ გახდა სინგაპური აზიის ფინანსური ცენტრი

სინგაპური ყოველთვის როდი იყო კეთილსაიმედო ქვეყანა. ეს დღეს უწოდებენ მას სასწაულს, მილიონობით ტურისტი და მეწარმე კი ამ ქვეყანას დასვენებისა და ბიზნესისთვის ირჩევს. სულ ცოტა ხნის წინათ ამ პატარა სახელმწიფოს მოსახლეობა სიღარიბეში ცხოვრობდა. პოლიტიკოსმა ლი კუან იუს მიერ განხორციელებულმა ცვლილებებმა და და მისმა დაუღალავმა შრომამ ღარიბი ქვეყანა ერთ-ერთ ყველაზე მაღალგანვითარებულ სახელმწიფოდ იქცა.

### კორუფციის აღმოფხვრა

ქრთამის მიცემა და ნეპოტიზმი ბევრი ბიუროკრატიული სისტემის დამახასიათებელი მანკიერებებია. სინგაპურის „ეკონომიკური სასწაულის“ ავტორი, ლი კუან იუ ხშირად ამბობდა, რომ კორუფციასთან ბრძოლაში ულმობელი უნდა იყო, მზად უნდა იყო იმისთვის, რომ ციხეში გაგზავნო ნათესავები და ახლობლები, რომლებიც ქრთამებს იღებენ. ის არავის ინდობდა. რამდენიმე მინისტრი სწორედ ქრთამის აღების გამო მოხვდა გისოსებს მიღმა. ერთ-ერთი მათგანი კი, რომელსაც დიდი ხნით პატიმრობა მიესაჯა, ქვეყნის მმართველის ახლო მეგობარი იყო.



დღეისათვის სინგაპურელ ჩინოვნიკებს საკმაოდ მაღალი ანაზღაურება აქვთ იმისათვის, რომ გაუძლონ ცდუნებებს და ბოროტად არ გამოიყენონ სამსახურებრივი მდგომარეობა. სინგაპურის მასმედიის დამოუკიდებელი საშუალებები ნამდვილად ქვეყნის მეოთხე ხელისუფლება გახდნენ. დღეისათვის ჟურნალისტები ყურადღებით ადევნებენ თვალს ქვეყნის ცხოვრებას, ჩინოვნიკების შემოსავალს და დანახარჯებს, მათ ოჯახებსა და ახლობლებს.

ხშირად სწორედ ჟურნალისტები ამახვილებდნენ ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ ჩინოვნიკი ძალიან ხელგაშლილად ცხოვრობდა. უზნეო თანამდებობის პირს შეძლო დაეკარგა არამარტო პოსტი და პრივილეგიები, არამედ ციხეშიც მოხვედრილიყო და ასობით ათასი დოლარის ჯარიმის გადახდის შემდეგ სრულიად უსახსროდაც დარჩენილიყო. „გინდათ, დაამარცხოთ კორუფცია? დაიწყეთ იმით, რომ ციხეში ჩასვით სამი თქვენი მეგობარი. თქვენც და მათაც შესანიშნავად იცით, რის გამოც“, — სწორედ ამ სიტყვების ავტორად თვლიან სინგაპურელი ხალხის მამას.

ლი კუან იუ ამბობდა, რომ მას მმართველობის ორი გზა აქვს: იქურდოს, რომ ოჯახთან და მეგობებთან ერთად მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა შორის მოხვდეს, სინგაპურელი ხალხი კი სიღარიბეში ცხოვრობდეს; ან ხალხის მსახური გახდეს და სინგაპური მსოფლიოს 10 უმდიდრეს ქვეყანას შორის მოახვედროს. პრემიერ-მინისტრმა მმართველობის მეორე გზა აირჩია და გლობალური მასშტაბის ყველაზე წარმატებული პოლიტიკოსი და აყვავების გზაზე დამდგარი ქვეყნის მმართველი გახდა.

### მკაცრი პენიტენციური სისტემა

სინგაპურელი ხალხი ერის მამას მკაცრ და სამართლიან მმართველად მიიჩნევს. ქვეყანაში არსებობს დასჯის მკაცრი სისტემა. პენიტენციური სისტემის ანგარიშების თანახმად, სინგაპურში სიკვდილით დასჯის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ყველაზე ხშირად სახრჩობელაზე მკვლელები და ნარკოტიკებით მოვაჭრეები ხვდებიან. სინგაპურში არსებობს დასჯის კიდევ ერთი სახე — ჯოხებით ცემა. უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის უმეტესობა დასჯის ამ სახეს ამართლებს. უმნიშვნელო დანაშაულისთვისაც კი მაღალი ჯარიმა და დიდი ხნით ციხეა გათვალისწინებული. როგორც ჩანს, მკაცრი პენიტენციური სისტემა დანაშაულის დაბალი დონის საწინდარია.

### უცხოური ინვესტიციების ნაკადი

ღარიბ ქვეყანას ბევრი ფული სჭირდებოდა. სინგაპურის ტერიტორიაზე არ არის სასარგებლო წიაღისეული, რომელთა გარეშე შეუძლებელია მრეწველობის განვითარება. კლიმატი და მტკნარი წყლის დეფიციტი ხელს უშლის სოფლის მეურნეობის განვითარებას. ეს პატარა ქვეყანა მხოლოდ უცხოურმა ინვესტიციებმა გადაარჩინა. 1960-იან წლებში ჩინეთმა უცხოურ კაპიტალს გზა გადაუკეტა, რამაც ახლომდებარე ქვეყნების: სინგაპურის, კორეისა და ჰონკონგის შანსები გაზარდა. ლი კუან იუს მთავრობა ძალ-ღონეს არ იშურებდა უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად — უცხოური კომპანიებისთვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობამ შესაძლებელი გახადა ქვეყანაში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ხოლო დასავლურ კომპანიებს შანსი მიეცათ, ჰყოლოდათ იაფი სამუშაო ძალა და ესარგებლათ საგადასახადო შეღავათებით. სახელმწიფოს მხრიდან ჩაურევლობის პოლიტიკა უცხოური კაპიტალის შემოდინების გარანტია გახლდათ.

### რეფორმები განათლების სფეროში

სინგაპურელი ხალხის მამამ ამოცანა დაისახა: აღეზარდა მოქალაქეთა ახალი თაობა, რომელიც განათლებული იქნებოდა და შეეძლებოდა გადაწყვეტილებების მიღება. ლი კუან იუმ განათლების რეფორმის განხორციელება დაისახა მიზნად, რომლის პრიორიტეტი მაღალი ტექნოლოგიების სფერო იქნებოდა. რეფორმამ განათლების სფეროს ყველა დონე მოიცვა. სინგაპურელები, რომლებიც დიპლომს იღებდნენ, მოწინავე მწარმოებლების გამოცდილების გაზიარების მიზნით, უცხოურ კომპანიებში იწყებდნენ მუშაობას. ძალიან მალე ისინი გლობალურ ბაზარზე დასავლეთელების კონკურენტებად იქცნენ. დღეისათვის სინგაპური მსოფლიოში მაღალტექნოლოგიური ელექტრონიკის მწარმოებელი ერთ-ერთი უმსხვილესი ცენტრია.

### ეფექტიანი სახელმწიფო კომპანიები

დღეისათვის სახელმწიფო საწარმოები ქვეყნის სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვან წილს შეადგენენ. „სინგაპურის ავიახაზები“ ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო კომპანიაა, რომლის პრიორიტეტული ამოცანაა, უზრუნველყოს მგზავრების კომფორტული ფრენა. კომპანიამ ყველაფერი გათვალა — დასაჯდომი სავარძლიდან დაწყებული, ინტერაქტიური გასართობებით დამთავრებული. „სინგაპურის ავიახაზები“ მსოფლიოში საუკეთესოდ მიიჩნევა.



თანამედროვე სინგაპური ლი კუან იუს ოცდაათწლიანი მმართველობის შედეგია. წარმატებულმა პოლიტიკოსმა შეძლო, „მესამე სამყაროს“ ქვეყანა მოწინავე სახელმწიფოდ ექცია, რომელსაც ბევრ რეიტინგში ლიდერის პოზიციები უკავია. სინგაპურელი ხალხის მამა უდიდესი პატრიოტი და მისაბაძი მაგალითია.

### სინგაპური ქვეყნის მოსახლეობას ნახევარ მილიარდ დოლარს დაურიგებს

სინგაპურმა ბიუჯეტში იმდენი ფული დააგროვა რომ მის დარიგებას თავისი მოქალაქეებისთვის აპირებს. სინგაპურში 5,6 მლნ ადამიანი ცხოვრობს, მაგრამ ფულს მხოლოდ 21 წელს მიღწეულები მიიღებენ წლიურ შემოსავალთან შესაბამისობაში. ვინც წელიწადში 100 ათას სინგაპურულ დოლარზე მეტს გამოიმუშავებს, ის 100 დოლარს მიიღებს, ვინც 28 ათასს იღებს — 300-ს. ქვეყანაში არსებობს ბონუსების სისტემა სახელმწიფო მოსამსახურეებისთვის. ჩინოვნიკებს სახელმწიფო უხდის დანამატს წლიური 0,5%-ის ოდენობით, ზოგჯერ კი უფრო მეტს. სინგაპური ერთიანი შიდა პროდუქტის ოდენობით მსოფლიოს ხუთ ლიდერ ქვეყანას შორის სახელდება. ფინანსური პრობლემების არარასებობის გამო, ქვეყანა ძალზე ლოიალურია თავისი ღარიბი მოქალაქეების მიმართ. კერძოდ, ცნობილია, რომ ქვეყნის ის მოქალაქეები, რომელთა წლიური შემოსავალიო 22 ათას დოლარზე ნაკლებია, საშემოსავლო გადასახადებიდან მთლიანად გათავისუფლებულები არიან.

### რამდენიმე ფაქტი სინგაპურის შესახებ

სინგაპურში ღამე 22 საათზე იწყება. ღამის საათებში დიდ ჯგუფებად შეკრება აკრძალულია. სინგაპურში მკაცრად არის აკრძალული ერთსქესიანის მიმართ რაიმე სიმპატიის სახალხოდ გამოხატვა. ამის გამო ორწლიანი პატიმრობაც შეიძლება დაიმსახურო. გეები კი არიან ქვეყანაში, მაგრამ ისინი „იატაკქვეშეთში“ არიან.

ქვეყანაში ძალიან დიდი ყურადღება ექცევა სისუფთავეს. საქმიან რაიონში ქუჩებს კვირაში ერთხელ შამპუნით რეცხავენ. ქუჩაში გადაფურთხებისთვისაც კი დიდი ჯარიმა გარანტირებული გაქვთ.

სინგაპურში კატეგორიულად არის აკრძალული „ჩაის“ დატოვება მომსახურე სფეროს წარმომადგენლებისთვის, ზოგიერთ რესპექტაბელურ დაწესებულებაში ის ღირებულებაში შედის. რაც შეეხება ტაქსისტებს, მათთვის „ჩაის“ მიცემა კანონმდებლობით იკრძალება.

ქვეყანაში შესვლისას უსიამოვნებები შეგხვდებათ, თუ ბარგში საღეჭი რეზინი აღმოგაჩნდათ. „კევის“ ღეჭვა შეიძლება, მაგრამ ვერსად შეიძენთ. საღეჭ რეზინს ომი 1992 წელს გამოუცხადეს — ცხელი კლიმატის პირობებში ასფალტზე მოხვედრისას ის აფუჭებს გზის საფარს და ფეხსაცმელს. პრობლემის გადასაჭრელად რადიკალურ ზომებს მიმართეს.

სინგაპურის მთავრობა ძალიან მგრძნობიარეა კრიტიკის მიმართ — მისი ლანძღვისთვის უცხოელს მხოლოდ აღმზრდელობით საუბარს აკმარებენ, ადგილობრივი კი შეიძლება დააპატიმრონ კიდეც.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22



საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

გაზეთის გავრცელების სამსახური: 599 58-72-50. ბესო ცარციძე (მენეჯერი).

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99

ISSN 2233-3983